სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 ივლისი 2004 №152 (2173) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნებმა ევროპას



ჭკუა



ასწავლეს

ანჯიკური ფეხბურთი

დიდება საბერძნეთის ნაკრებს და ოტო რეჰაგელს! ელინები ევროპის ჩემპიონები არიან, მათ მოიგეს! ხოლო პორტუგალიამ... საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ, იტალიამ, ჰოლანდიამ, ესპანეთმა და ჩეხეთმაც წააგეს.

ევრო 2004-ის შესახებ კიდევ დაიწერება და სანამ ჩემპიონთა ლიგის კომერციული ბრწყინვალება კვლავ არ შეჭამს ყველას და ყველაფერს, ხალხი შეეცდება მომხდარის შეჯამებას და, ალბათ, რაიმეს დასკვნასაც. პირდაპირ ვთქვათ: სენსაცია რომ მოხდა, ფაქტია, მაგრამ როგორ და რატომ? რამ შეამზადა ნიადაგი საბერძნეთის ასე გაძლიერებისა და ეგრეთ წოდებული დიდი ქვეყნების დამცირებისთვის?

პასუხებს ან პასუხის მცდელობებს დაველოდოთ, მანამდე კი ცხელ გულზე აღვწეროთ ის, რაც გუშინ მოხდა.

ევროკუპი 2004 — კაპიტანი

მატჩის წინ

„ფავორიტი პორტუგალიაა — ამბობდა ბერძნეთა გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი — მასპინძლებს ჯადოსნური გუნდი ჰყავთ. პირველი შეხვედრის წინ მათ, შესაძლოა, ჩვენი ძალა ჯეროვნად ვერ შეაფასეს და ამიტომაც მოვუწყვეთ სიურპრიზი, მაგრამ ახლა რომ ფრთხილად იქნებიან, ფაქტია. თან ჩვენ მათი გუნდის გარდა 50 ათას გულშემატკივართანაც გვექნება საომარი. რა გაეწყობა, ყველა ღონეს ვიხმართ. ბერძენ ქომაგებს ჟინიან თამაშს ვპირდებით. გამარჯვების იმედი გვაქვს და ვიცით, რომ არაფერს ვკარგავთ“.

რეჰაგელს აკლდნენ დისკვალიფიცირებული გეორგიოს კარაგუნისი და დაშავებული დემის ნიკოლაიდისი.

პორტუგალიელების ბრაზილიელი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი კი ასე ბრძანებდა: „გავიმეორებ იმას, რასაც ბრაზილიელ მწვრთნელებზე ამბობენ ხოლმე: მეორე ადგილზე გასვლას დამარცხებად მიიჩნევენო. მართლაც, თუ დღეს ჩვენ წავაგებთ, ვიტყვი, რომ გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ. რაც შეეხება მეტოქეს, ის ფინალში დამსახურებულად არის. იმავეს ვიტყვი მსაჯზეც. სულერთია ვისი მეგობარია, იგი პატიოსანი, დიდი მსაჯია და უეფამ ამიტომაც ანდო ფინალი“.

მოგეხსენებათ, ბევრჯერ ითქვა, რომ წუხანდელი მსაჯი, მარკუს მერკი და ბერძნეთა თავკაცი ოტო რეჰაგელი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ და მეგობრობენ.

პირველი ტაიმი

პირველი თვალშისაცემი, რაც მოხდა, პორტუგალიელი ნახევარმცველის, კოშტინიას გაფრთხილება გახლდათ. მან ბერძენი მარჯვენა მცველი იურკას სეიტარიდისი წააქცია. ამ ამბიდან ორ წუთში უკვე მასპინძლების მარჯვენა მცველმა, მიგელმა გამოიღო ფხა — დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბერძნების ჩინებულმა მეკარემ, ანტონის ნიკოპოლიდისმა მოიგერია.

შემდეგ ნიკოპოლიდისის კოლეგა, რიკარდუ ჩაერთო საქმეში — კოსტას კაცურანისის დარტყმულს ანგელოს ხარისტიასის ფეხებთან სწვდა, იქით კართან კი (ოღონდ შვიდი მოსაწყენი წუთის შემდეგ) უკვე პაულეტას აუღო ბერძენმა გოლკიპერმა.

და ამასობაში მოხდა საკმაოდ მნიშვნელოვანი— თუმცა არა გადამწყვეტი, ცხადია — რამ: სტელიოს იანაკოპულოსთან ორთაბრძოლაში პორტუგალიელთა ალბათ ყველაზე აქტიური ფეხბურთელი, ზემოხსენებული მიგელი დაშავდა და შესაცვლელი გახდა. ამით მასპინძლებს ერთი, რომ ჟინიანი მოთამაშე მოაკლდათ და მეორე, მოაკლდათ ერთი ცვლილების შანსი, რომელიც მეორე ტაიმში ტაქტიკური ან დაღლილობის მოტივით შეეძლოთ გამოეყენებინათ.

პორტუგალია 0 — 1 საბერძნეთი

4 ივლისი
ფინალი
ლისაბონი. ლუჟი

0:1 ხარისტიასი (57)

პორტუგალია	საბერძნეთი
1 რიკარდუ	1 ნიკოპოლიდისი
16 რ. კარვალიუ, 4 ჟორჟე ანდრადე	19 კაპსისი, 5 დელასი
13 მიგელი, 14 ნუნუ ვალენტე	2 სეიტარიდისი, 14 ფისასი
18 მანიშე, 6 კოშტინია	7 ზაგორაკისი, 6 ბასინასი
7 ფიგუ, 20 დეკო, 17 კ. რონალდო	21 კაცურანისი, 8 იანაკოპულოსი
9 პაულეტა	9 ხარისტიასი, 15 ვრიზასი
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი	მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
შეცვლა: მიგელი — 2 პ. ფერეირა (43), კოშტინია — 10 რუი კოშტა (60), პაულეტა — 21 ნუნუ გომეში (74)	შეცვლა: იანაკოპულოსი — 3 ვენეტიდისი (76), ვრიზასი — 22 პაპადოპულოსი (81)

გაფრთხილება: კოშტინია (12), ბასინასი (45), სეიტარიდისი (63), ფისასი (67), პაპადოპულოსი (85), ნუნუ ვალენტე (90)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). 62 865 მაყურებელი

ჯარიმა: 19-21; კუთხური: 10-1; კარისკენ დარტყმა: 10-4; კარში დარტყმა: 10-1; თამაშგარე: 4-3

მეორე ტაიმი

მეორე ტაიმი კი თითქოს პორტუგალიელთა ოდნავ აჩქარებული ტემპით და უპირატესობით, მაგრამ... ბერძენთა გოლით დაიწყო — თორმეტწუთიანი მონაკვეთის ბოლოს კუთხურიდან ბასინასმა ჩააწოდა, ხარისტიასმა კი თავურით შეაგდო კარში, რომელსაც მცდარ ადგილას გასული რიკარდუ, ფაქტობრივად, ველარ იცავდა.

ამის შემდეგ ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა, პორტუგალიელებმა ნერვიულად და მეტი მოწადინებით შეუტიეს, თუმცა შედეგს ვერ მიაღწიეს. მათი ხშირი ჩაკიდებები ბერძენი მცველების ლუკმა ხდებოდა, სწრაფი შეტევა ბურთის საშუალო და მოკლე გათამაშებით კი ვაგლახ, ვერ შეძლეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბერძნების მარწუხებში საფუძვლიანად ჩაიკარგა ლუიშ ფიგუ. პაულეტა კი როგორც მთელი ჩემპიონატის მანძილზე წვალობდა, ასევე უშედეგოდ წვალობდა ფინალშიც, ხოლო კრისტიანო რონალდო მხოლოდ მონდომებისთვის იყო შესაქები.

ყველაზე მძაფრად კი, ალბათ, ორი მომენტი უნდა მივიჩნიოთ.

ერთი 75-ე წუთისა, როდესაც კრისტიანო რონალდო აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ იჩქარა, გაუმართლებელი ფაციფუცით დაარტყა და აცილა, ხოლო მეორე ფიგუსი, 90-ე წუთზე შორეულ ძელთან რომ ჩაიქროლა მისმა დარტყმულმა.

ბარსელონა

ეს ალბათ მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩება: 86-ე წუთზე მოედანზე ქომაგი გადახტა, მას ხელში „ბარსელონას“ დროშა ეჭირა, ქომაგი ლუიშ ფიგუს მივარდა, დროშა ესროლა, შემდეგ კი კარისკენ მოკურცხლა და ბადეში გაეხვია.

აქ ფიგუსა და „ბარსელონას“ ისტორიის გახსენება, ცხადია, ზედმეტია, ფიგუს კი... საკლუბო ფეხბურთისა რა მოგახსენოთ და, ევრო 2004-ზე ნამდვილად ერჩიენა უკეთ ეთამაშა. ვინ იცის, ერთი ალალად ვარსკვლავური სვლა, ნაპერწკლიანი აქცია როგორ მოატრიალებდა ყველაფერს მისი გუნდის სასარგებლოდ.

მაგრამ მასპინძლების ვარსკვლავი ვაგლახ, ჩამქრალი გამოდგა.

ბერძნებისა კი კაშკაშებდა.

მატჩის შემდეგ ტრიუმფატორმა მწვრთნელმა, ოტო რეჰაგელმა განაცხადა

რაც დღეს მოხდა, როგორც საკუთრივ ბერძნული, ასევე მთლიანად ევროპული ფეხბურთისთვის სიახლე და უჩვეულო გახლდათ. ჩემმა გუნდმა დიდებული ფეხბურთი ითამაშა. მოწინააღმდეგე ტექნიკურად გვჯობდა, მაგრამ ჩვენ შანსი უკეთ გამოვიყენეთ და უპირატესობაც ეგ გახლდათ. 2:0-ც კი შეგვეძლო გაგვეხადა. დიახ, დღეს ბერძნებმა ფეხბურთის ისტორიის ფურცელი შექმნეს და რეს სენსაცია იყო.

ანგელოს ხარისტიასი

ჩვენ ევროპის ჩემპიონები ვართ. ჩვენ ევროპის საუკეთესო გუნდი ვართ და ეს დავიმსახურეთ. დიადი ამბავია, ბედნიერი და შეძრული ვარ. დღეს ყველა ბერძენს ზეიმისკენ მოვუწოდებ. მწვანს, უნიკალური წამია. ასეთი რამ ჩვენმა უმრავლესობამ ხელმეორედ შეიძლება ვეღარც განიცადოს. ჩემპიონები ყველა დიდი გუნდის ძლევის გზით გავხდით. დღესაც ძალიან ძლიერ პორტუგალიას მოვუგეთ. ვიცოდი, რომ უნდა მოგვეგო, არ ვიცი რატომ, მაგრამ გული მიგრძნობდა, რომ გავიმარჯვებდით.

პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი

სრულიად პორტუგალიას პატიებას ვთხოვთ, რადგან დასახულ მიზანს ვერ მივაღწიეთ. ძნელია როცა აგებ... ასე. გოლი ვერ გავიტანეთ. ბერძნებმა დაცვით მოიგეს, მოიგეს იმიტომ, რომ იცოდნენ, როგორ ეთამაშათ დაცვითი ფეხბურთი.

პორტუგალია ფინალს ხალისით და ლამაზად შეხვდა, ცრემლით კი დაემშვიდობა

REUTERS ლისაბონიდან



ფორფელდერს ცვანციგერი შეუდგა



გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენმა გერჰარდ მაიერ- ფორფელდერმა შესაძლოა, სამსახური დაკარგოს. აღმასკომის წევრებმა პრეზიდენტი დღეისთვის დაიბარეს და სხდომაზე მის საქმიანობას გაარჩევენ. რუდი ფიოლერის გათავისუფლების შემდეგ ფორფელდერმა ახალი მწვრთნელის მოძებნა ვერ შეძლო. ოტმარ ჰიცფელდმა პრეზიდენტს უარი უთხრა ბუნესნაკრების თავკაცობაზე და საგანგებო სხდომაც სადღეისოდ ამიტომ დაინიშნა.

იურგენ კლინსმანი გერმანიას კალიფორნიიდან უცხოელს ურჩევს

გერმანული მედიის ცნობით, აღმასკომის წევრებს ფორფელდერის შემცვლელი უკვე შეგულებული ჰყავთ — საფეხბურთო კავშირის ხაზინადარი თეო ცვანციგერი.

გერჰარდ მაიერ-ფორფელდერს კითხვებზე კონკრეტული პასუხის გაცემა მოუწევს. მისგან ან გადადგომას მოითხოვენ, ან ოქტომბერში გასამართ არჩევნებზე კანდიდატურის მოხსნას.

ამჟამინდელი პრეზიდენტი კი წასვლას არ აპირებს. თან ზეპ ბლატერს უთქვამს, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატს გერმანია მასპინძლობს და ცვლილებებისგან თავი შეიკავეთო: „წინ მუნდიალი გველის და ახლა რეფორმების დრო არაა. ეს მაინც თუ მოხდა, ფიფა არ მოგვიწონებს“.

ერთი სიტყვით, ბუნდესნაკრები ოტმარ ჰიცფელდმა იუარა, კრისტოფ დაუმმა კი განაცხადა, რომ სტამბოლის „ფენერბაჰჩეში“ თავს მშვენივრად გრძნობს და სადმე წასვლას არ აპირებს. კანდიდატთა სია შემცირდა, ხოლო ყოფილმა დიდმეგოლე იურგენ კლინსმანმა თქვა, ახლა ძალიან კარგად გამოჩნდა საფეხბურთო კავშირის უსუსურობაო. „მთელი მსოფლიო ხედავს, რომ გერმანია გამოუვალ მდგომარეობაშია, გერჰარდ მაიერ-ფორფელდერმა კი არ იცის, რა გააკეთოს“.

კლინსმანის აზრით, გერმანიის ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი სჭირდება. „გამოცდილი უცხოელი მწვრთნელი გვჭირდება. ეს საუკეთესო გამოსავალია, მაგრამ იმავდროულად უცხოელმა ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება, ხასიათი და გერმანული ფეხბურთის ფილოსოფია კარგა უნდა იცოდეს. ახალი ნაბიჯის გადადგმა მოგვიწევს და ახალი პერსპექტივაც გაჩნება, ჩვენებურ სამწვრთნელო სტრუქტურაში ბევრი რამ შესაცვლელია“ — განაცხადა ფორვარდმა, რომელსაც 108 სანაკრებო მატჩში 47 გოლი გაუტანია.

გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, 38 პროცენტს ბუნდესნაკრების ახალ მწვრთნელად ოტო რეჰაგელი სურს. კლინსმანი „მეფე ოტოს“ ასე ახასიათებს: „მიუნხენის „ბაერნში“ მისი მწვრთნელობისას მითამაშია. რეჰაგელს ფეხბურთელებზე ზემოქმედების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. საშუალო დონის მოთამაშეებისგან დიდი გუნდის შექმნა შეუძლია, მაგრამ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ახალი მწვრთნელის მოძებნამდე ჯერ უნდა გაანალიზოს, თუ რის გამო ჩავარდა ნაკრები ევრო 2004-ზე. მწვრთნელის დანიშვნა კი საჩქარო არაა“.

იურგენ კლინსმანი ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს, რადგან მისი მეუღლე იქაურია.

ვაჟა ხუციშვილი

ჯეინორ მორგანი 29 წლის ტურფაა, მამამისი ჯილი კი ჯეელობაში „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა და ეს რგადაც. ახლა, ეს ყველაფერი რატომ ვთქვით: იმიტომ, რომ ჯეინორი ამბობს, დევიდ ბექემს ბარში [illegible] ლიტებოდი, ბარძაყზე ხელი ამისვა და ჩამომისვაო. ეს ამბავი — თუ სისულელე არ არის — მაშინ მომხდარა, როდესაც ვიქტორია ადამსი რომეოზე ყოფილა ფეხმძიმედ.

ეჭვი და ჩამოუსვა

საოცარია, რომ ამ დალოცვილ ინგლისში ყველა ბიოგრაფიების წერაზეა გადასული. ჯეინორმა თავის ნაშრომს „ნაღდი დევიდ ბექემი“ დაარქვა და შიგ განცდით აღწერა ხელის ასმა-ჩამოსმის ამბავი, რაზეც მისი ქვეყნის ნაკრების კაპიტანმა ვექილების დარაზმვით უპასუხა. ცხადია, ბექემის ადვოკატები ამბობენ, რომ იმ, 2001 წლის შობა ღამის ზეიმზე ასეთი არაფერი მომხდარა — მაშინ დევიდი ჯერ კიდევ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა, ხოლო ზეიმი სწორედ „იუნაიტედისა“ იყო.

შემდეგ ვილი მორგანის ქალიშვილი ამბობს, რომ დევიდმა გული გადაუშალა, დიდი ხანია მომწონხარო. „მე კი გული გამიჩერდა, რადგან ასეთს ნაღდად არ ველოდი — ამბობს თავის მხრივ ქალი და იმ, ხელის ასმა-ჩამოსმის ეპიზოდს სწორედ აქ აღწერს — დროის შეგრძნება დავკარგე, თუმცა ჩემსა და დევიდს შორის მომხდარის დეტალებს მარად ჩვენს საიდუმლოდ დავტოვებ“.

ჯეინორ მორგანს 11 წლის ვაჟი, სახელად ალტრინჩემი ჰყოლია, ხოლო მოძალებული დევიდი მისგან საბოლოოდ გარი ნევილს აუხევია.

დანარჩენს იურისტები გაარკვევენ.

ირაკლი კუტუბიძე

რას დაიძაკებს ბენფიკა?

ალბერტო ძაკერონი

პორტუგალიური გაზეთები ამტკიცებენ, რომ დღეს ცნობილი იტალიელი მწვრთნელი, ალბერტო ძაკერონი ოფიციალურად დაინიშნება ლისაბონის „ბენფიკას“ მწვრთნელად.

დღეს „ბენფიკას“ პრესკონფერენცია აქვს დანიშნული და ცნობილია, რომ ამ პრესკონფერენციის თემა ახალი მწვრთნელის ვინაობა იქნება, გაზეთი „რეკორდი“ კი დაჟინებით აცხადებს, ეს ახალი მწვრთნელი „ინტერის“ ყოფილი თავკაციაო.

მოგეხსენებთ, მას მერე, რაც მილანის „შავ-ლურჯ“ გუნდში ხელმძღვანელად ლაციოელი რობერტო მანჩინი მივიდა (უფრო სწორად, მისვლას ჯერ რომაულ კლუბთან დაკავშირებული იურიდიული ნიუანსები უშლის ხელს), ძაკერონი უმუშევრად დარჩა.

ცნობილია, რომ ძაკს 3-4-3 სისტმა უყვარს, რამაც, როგორც ჩანს, ლისაბონელები საკმაოდ მოხიბლა და მადრიდის „რეალში“ წასული ხოსე ანტინიო კამაჩოს შემცველად სწორედ იტალიელი შეიგულეს.

ასე და ამგვარად, 51 წლის ალბერტო ძაკერონი შეიძლება გახდეს მეორე იტალიელი, რომელიც ბოლო ერთ თვეში პორტუგალიის ლიგაში მივა, პირველი გახლდათ ლუიჯი დელ ნერი, რომელიც „ბენფიკის“ ოდინდელ მეტოქეს, „პორტუს“ ჩაუდგა სათავეში.

ალბერტო ძაკერონის ყველაზე დიდი მიღწევა 1998-99 წლების სეზონში „მილანის“ სკუდეტოსიან მიყვანა გახლდათ.

პაპუნა ქედია

პატარა ბიჭი და პატარა მრეში

ორი ნებართვა უეინ რუნის ერთი ახდენილი ოცნებისთვის

უეინ რუნი ბედნიერია: ევროპის ჩემპიონატზე სახელი გაითქვა, „ევერტონის“ თავმჯდომარემ, ბილ კენრაიტმა საამაყო ფასი დაადო — 50 მილიონი გირვანქა, რაც არც მეტი, არც ნაკლები, 91,46 მილიონი დოლარია. „არსენალის“ მწვრთნელმა, სახელგანთქმულმა არსენ ვენგერმა განაცხადა, ამ ბიჭის ყიდვა ღამღამობით მესიზმრება, მაგრამ სამწუხაროდ, ფული არ მაქვს, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი გამორიცხულია, ეს შანსი ხელიდან გაუშვას — ისე, „ჩელსისთან“ წააგებს სატრანსფერო მარათონსო და რაც მთავარია, ცოლი მოჰყავს, გულის სწორი კოლინი, ოღონდ ქორწილი როდის იქნება, არ იცის. როგორც ეგეთი ამბების დაწვრილებით მცოდნე „სანი“ წერს, ქალს ჯერ მეჯვარეები არ ჰყავს შერჩეული და საპატარძლო რამე-რუმეების ყიდვა არ დაუწყია.

„ჩვენ გვინდა შვილები, საუკეთესო ვარიანტი ქალ-ვაჟი იქნება, მაგრამ ჯერ არა, რამდენიმე წლის შემდეგ“ — თქვა ევრო 2004-ის ერთ-ერთმა გმირმა.

ერთი სიტყვით, გაითქვა თუ არა პორტუგალიის სტადიონებზე „ევერტონის“ თავდამსხმელმა სახელი, „სანი“ მიუცუცქდა და დაწვრილებით გამოკითხა ყველაფერი... საცოლესთან და სიყვარულთან დაკავშირებით. ჩვენ ყოველივეს დაწვრილებით გადმოქართულებას არ ვაპირებთ, მაგრამ მოკლე შინაარსი იმისა, თუ როგორ მოჰყავთ ინგლისელ, უფრო ზუსტად კი ლივერპულელ ფეხბურთელ ბიჭებს ცოლები, ნამდვილად საინტერესოა. აი, მაგალითად, ჩვენთვის უჩვეულო მომენტი: წლევანდელი წმინდა ვალენტინის დღე უეინ რუნის ადრიდანვე შეგულებული ჰქონდა, როგორც დღე, როდესაც გულისსწორთან „ნაღდ ღამეს გაატარებდა“ და რომ „ჩამოჰკრა ჟამმა“, კოლინს ჰკითხა, შეიძლება მამაშენს დავურეკო და ნებართვა ვთხოვო, რომ ამაღამ შინ არ მიგიყვანოო? კოლინმა დარეკვის ნება დართო, ხოლო ქალის მამამ შვილის ღამით დატოვების. ერთი სიტყვით, უეინმა ლივერპულის „მერიოტში“ ნაქირავებ ნომერში შამპანური და შოკოლადი შეუკვეთა და როგორც მთელ მსოფლიოს გვიამბო, ამის შემდეგ ფანტასტიკური ღამე გაატარა, პირველი სრულყოფილი ღამე საყვარელ გოგონასთან ერთად.

საინტერესო ისტორიაა, ხომ მართალია? ერთი მხრივ, ყველაფერი ძალიან პატიოსნად არის, მილიონერმა ვაჟმა ორი ნებართვა აიღო ერთი ოცნების ასახდენად და მეორე მხრივ, რაც მოხდა, ჩვენთვის უცხოა.

საქორწინო ბეჭედი უეინს თავისი გემოვნებით შეუკვეთავს, ოღონდ კოლინის გემოვნებიდან გამომდინარე, ბეჭედი პლატინისა და ბრილიანტისგან დაუკვეთია, მაგრამ... მიცემა არ გინდოდა?

„ვუთხარი, რომ ჩინურ რესტორანში მივდიოდით, მაგრამ გზად „ბი პის“ ბენზოგასამართ სადგურთან გავჩერდი, რადგან კოლინს სადილის ფული ხელზე არ ჰქონდა და ბანკომატთან გადავიდა. ამ დროს ამოვიღე საჩუქრის ყუთი ჯიბიდან, გავხსენი და კოლინი რომ დაბრუნდა, ვუთხარი: „ცოლად გამომყვები?“ მან მიპასუხა, „დიახ“. შემდეგ ერთმანეთს ვაკოცეთ და ცოტა ვეფერეთ. „კოლინისთვის ხელის თხოვნა ინგლისის ნაკრებში თამაშზე ძნელი გამოდგა“ — მოყვა რუნიმ.

და როგორ ფიქრობთ, სად აღნიშნეს შეყვარებულებმა ეს „შეთანხმება“? კოლინის სახლში, სადაც ქალის დედამ სადილი მოუმზადათ, თვითონ კი სავარძელში დასხდნენ და სერიალ „ისტენდერებს“ უყურეს.

ცნობისთვის: „ისტენდერები“ ინგლისში, თუ არ ვცდებით, სამოცდაათიანი წლებიდან გადის.

ახლა იმაზე, თუ როგორ სთხოვა უეინმა ქალიშვილის ხელი სასიმამროს:

ისინი ისევ კოლინთან სახლში იყვნენ და ტელევიზორს უცქერდნენ. ყველამ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო — კოლინის მამისთვის კოლინის დედას ჰქონდა ნათქვამი, დღეს უეინი მოვა და ქალიშვილის ხელს გთხოვსო — და ასე ისხდნენ ტელევიზორთან ჩუმად ოთხი (!) საათის განმავლობაში. ბოლოს სასიმამრომ ვეღარ მოითმინა:

„უეინ, მგონი რაღაც გაქვს სათქმელი, არა?“

და ამის მერეღა გაუბედავს ფეხბურთელს ხელის თხოვნა, რის პასუხადაც ხანგრძლივი ლექცია მოუსმენია.

აღსანიშნავია, რომ უეინმა და კოლინმა ერთმანეთი თავიანთ უბანში გაიცნეს — უეინი სკოლაში რომ დადიოდა, კოლინის სახლს ყოველდღიურად აუვლიდ-ჩაუვლიდა. მაშინ ორივენი 16 წლისანი იყვნენ, მშობლები კი ერთმანეთს იცნობდნენ, იმიტომ, რომ გოგოს მამა იმავე სპორტულ დარბაზში დარბოდა, რომელშიც ბიჭის მამა და ბიძა რიჩარდი კრივში ვარჯიშობდნენ.

უეინს კოლინი ძალიან მოეწონა, კოლინს კი ბიჭები არ აინტერესებდა, სკოლიდან შინ ბრუნდებოდა და მეცადინეობდა. ვაჟი ვაჟთა სკოლაში დადიოდა, ქალი — ქალთაში.

ვაჟს, იმიტომ, რომ მორცხვი იყო, საკუთარ თავთან და გარემოსთან ბრძოლა დასჭირდა, რათა ქალი კარგად გაეცნო, თან, პირველ კოცნაზე ბევრი ინერვიულა. ჯერ უთხრა, საკონტროლო ლინზები მიკეთია და ერთი თვალებში ჩამხედე, ხომ კარგად მერგებაო — ქალმა ჩახედა, კარგიაო უთხრა და წავიდა. შემდეგ, ხან კინოში დაპატიჟა, ხან სადაც ბარაბანი იცეკვეთო უთხრა, მაგრამ უს ყველაფერი სუმლბას ეგონა. ბაღში, პარკში ვერა და ვერ შედგა, სანამ...

ერთ დღეს უეინმა თავისი ბიძაშვილი კლარი და კოლინი ველოსიპედებით ერთად მიმავალნი დაინახა და დაეწია. კოლინს ამ დროს ველოსიპედიდან ჯაჭვი ჩამოუვარდა და უეინმა გაუკეთა. შემდეგ სთხოვა, რომელიღაც ფილმის კასტა მათხოვეო და ქალი კასეტის გამოსატანად შინ რომ შევიდა, ვაჟმა კლარს სთხოვა, შენი მეგობარი რომ დაბრუნდება, ჩემთან პაემანზე დაითანხმეო.

რუნის ოცნება აუხდა — საქმე გაიჩარხა. უეინმა გულის სწორი ეკლესიის უკანა ეზოში წაიყვანა და კოცნა გაბედა. ქალი აღფრთოვანდა.

ცნობისთვის: უეინ რუნის მამა უეინ რუნი უფროსი 40 წლისაა, დედა ჯანეტი 37-ის, ხოლო ძმები, გრემი და ჯონი 15-ის და 12-ის.

17 წლის რუნიმ დედ-მამას 47-ათასგირვანქიანი სახლი უყიდა.

ახლა ერთი აბზაცით პორტუგალიასაც მივხედოთ. სულ ერთი-ორი კვირის ამბავია, მაგრამ უკვე ისტორიაა:

„ფეხბურთელების ცოლების და გელფრენდების ამბავი ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ვიცოდი — ამბობს რუნი — ბოლო წუთს კი არ გადაწყვეტილა, რომ ქალები საფრანგეთთან თამაშის შემდეგ მოვიდნენ ჩვენს სასტუმროში. მათი სასტუმრო სადღაც საათნახევრის სავალში იყო, მაგრამ ყოველი შეხვედრის შემდეგ ისინი ჩამოდიოდნენ და დილამდე რჩებოდნენ. ეს ძალიან კარგი იყო...“

და იმედია, რომ კარგი იქნება უეინ რუნის და მისი მეუღლის ცხოვრება მილიონერი ბიჭის ახალნაყიდ სახლში, რომელიც ფორმბიდ წოდებულ დასახლებულ ალაგასაა და, ცხადია მდიდრულია. ხოლო თუ ზემოთ მოყოლილში რაიმე ბავშვურად გეჩვენათ, ნუ დაივიწყებთ, რომ 18 წლის ბიჭსა და გოგოზეა ლაპარაკი.

ირაკლი კუტუბიძე

უეინის დედ-მამამ უნდა თქვას, შვილი გაგვიზრდიაო

დონისპირელი სკოლარი

ინტერტოტოს თასი 2004

მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

სპარტაკი (რუსეთი)	4:1	კამენი (ხორვატია)
ვოლფსბურგი (გერმანია)	2:3	თუნი (შვეიცარია)
ჰიბერნიანი (შოტლანდია)	1:1	ვეტრა (ლიტვა)
ესბიერგი (დანია)	1:0	ნიცა (საფრანგეთი)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	1:2	ლიბერეცი (ჩეხეთი)
სლავენი (ხორვატია)	2:0	ვლაჟნია (ალბანეთი)
ტეპლიცე (ჩეხეთი)	1:2	შინიკი (რუსეთი)
ვარდარი (მაკედონია)	1:0	გენტი (ბელგია)
ტრნავა (სლოვაკეთი)	2:1	სლოგოდა (ბოსნია)
ნაიმეგენი (ჰოლანდია)	0:0	კორკ სიტი (ირლანდია)
ვესტერლო (ბელგია)	0:0	ზლინი (ჩეხეთი)
ოდენსე (დანია)	0:3	ვილიარეალი (ესპანეთი)
დინამო (მინსკი, ბელარუსი)	1:2	სარტიდი (სერბეთი)
ოფკ (სერბეთი)	3:1	დინაბურგი (ლატვია)
გენკი (ბელგია)	2:1	მარეკი (ბულგარეთი)
ტამპერე (ფინეთი)	3:0	ხაზარი (აზერბაიჯანი)

„ოდენსე" — „ვილიარეალი". მასპინძელთა რბევა სონი ანდერსონმა დაიწყო

რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

კრილია 4:2 ალანია

0:1 გვაზავა (2), 1:1, 2:1 პოშკუსი (11, 30), 3:1 კარიაკა (60), 3:2 იანოვსკი (88), 4:2 მოიზესი (90)

ალანია: ხომიჩი, ბრაბეცი, ბატესი, კუსოვი, იანოვსკი, ტარლოვსკი, დროზდოვი, სმირნოვი (კასიმოვი 64), გვაზავა (სარქისიანი 24; ალბოროვი 72), ბაზაევი, ოგანიანი

მწვრთნელი: როლან კურბისი

ცსკა 3:3 ტორპედო

1:0 იაროშიკი (32), 2:0 ოლიჩი (54), 2:1, 2:2 ლებედენკო (67, 68), 2:3 სემშოვი (70), 3:3 კირიჩენკო (86)

როსტოვი 2:1 ზენიტი

0:1 გორშკოვი (45), 1:1 ალხაზოვი (81), 2:1 პერესი (90)

სატურნი 1:1 ამკარი

1:0 ბაჟენოვი (13), 1:1 ვოლკოვი (69)

როტორი 0:1 რუბინი

0:1 ბაირამოვი (58)

ყუბანი 0:0 დინამო

რუსეთის პრემიერლიგას შვებულება დაუმთავრდა და გუშინწინ ჩემპიონატი განახლდა. ამ ტურის ორი მატჩი გადაიდო, რადგან „სპარტაკმა" და „შინიკმა" ინტერტოტოს თასზე ითამაშეს.

მთავარი შეხვედრა მოსკოვში შედგა, სადაც ცსკა-მ ლიდერ „ტორპედოს" უმასპინძლა. 69-ე წუთზე ტორპედოელთა მწვრთნელმა სერგეი პეტრენკომ მაყურებლები გაახალისა. იგი ბალღივით ხტოდა და სიხარულით გაოგნებული ძლივს დააოკეს.

პეტრენკოს გუნდი 0:2-ს აგებდა, მაგრამ არმიელებს ორ წუთში სამი გოლი გაუტანეს, დაწინაურდნენ და მწვრთნელის სიხარულის მიზეზიც ეს იყო.

შესვენებამდე ცსკა მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა. ირეკი იაროშიკმა საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ალექსეი ბერეზუცკის პასით ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ივიცა ოლიჩმა ლამაზი გოლი გაიტანა, პასი კი კვლავ ბერეზუცკიმ მიითვალა. ოლიჩმა მკერდიდან დაშვებული ბურთი დმიტრი ბოროდინის კარის ცხრიანში შეაჭიკარტა.

სერგეი პეტრენკომ ამის შემდეგ ორი ფეხბურთელი შეცვალა — პანოვი და დანჩა, რომელსაც მეორე გოლი დაბრალდა. შეცვლაზე შესულმა როვნეიკომ და ოპერმა გუნდის

პორტუგალიელმა რუსულის სწავლაში ენა მოიტეხა

თამაში დაალაგეს და „ტორპედომ" ორწუთიანი სასწაული გამოაცხო.

სემშოვმა ლებედენკო აკინფეევთან პირისპირ გაიყვანა და ფორვარდმა თავისი შანსი გამოიყენა. გოლიდან ნახევარი წუთი იყო გასული, ლებედენკომ ბურთი მეორედ რომ შეაგდო ცსკა-ს კარში. დაბნეულ არმიელებს სემშოვმა მესამეც მიართვა და ყველაფერი ყირამალა დადგა.

ამის შემყურე არტურ ჟორჟემ მოედანზე კირიჩენკო შეუშვა. ცვლილებამ გაუმართლა. კირიჩენკომ ოციოდ მეტრიდან ბურთი ცხრიანში შეასრიალა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

ნამატჩევს ცსკა-ს პორტუგალიელმა მწვრთნელმა თქვა: „იღბალმა გვიგანა. ბევრი საგოლე მომენტი გავანიავეთ, „ტორპედომ" კი სამივე გამოიყენა. რუსული ენა ჩემთვის ძალიან ძნელი ასათვისებელი გამოდგა, მაგრამ ნელ-ნელა ვსწავლობ. ვიმედოვნებ, რომ ოდესმე პრესკონფერენციაზე რუსულად ვისაუბრებ".

„როსტოვმა" მიჯრით მესამე შეხვედრა მოიგო და მერვე ადგილზე წამოსკუპდა. დონისპირელებმა აქამდე შინ ჯერ „სპარტაკი", მერე კი „დინამო" დააჩოქეს.

ზედიზედ სამი გამარჯვება შთამბეჭდავია, მაგრამ ამ ამბავში გამოსარჩევია როსტოველთა ურუგვაელი ლეგიონერი ომარ პერესი. პერესმა ჩემპიონატში გატანილი სამივე გოლი მატჩის ბოლო წუთზე შეაგდო.

მასპინძელთა მწვრთნელმა სერგეი ბალახნინმა ძირითად შემადგენლობაში ტრავმირებული ლატვიელი ალექსანდრ კოლინკოს ნაცვლად ილია ბლიზნიუკი გაამწესა. ბლიზნიუკმა პირველ ტაიმში ორჯერ გამოაძრო ბურთი კარიდან, მაგრამ მესამედ გორშკოვმა აჯობა და „ზენიტი" დაწინაურა.

მეორე ტაიმის განმავლობაში „როსტოვი" უტევდა. დამხვდურთა იერიშები მე-80 წუთიდან მას შემდეგ გაალმასდა, ბალახნინმა მოედანზე ასლანიდი და ალხაზოვი რომ შეუშვა.

ალხაზოვმა შესვლისთანავე გაათანაბრა, ხოლო პერესმა ჩვეულად, ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი შეაგდო.

გულშემატკივრებმა სერგეი ბალახნინი „როსტოველ სკოლარად" მონათლეს, რაკი ცვლილებები გამოიცნო.

სამარის „კრილია სოვეტოვმა" „ალანიას" სძლია და სეზონში პირველად უწია მესამე ადგილს. „კრილიაში" გოგა გახოკიძის გადასვლა არ მოხერხდა, გასულ პარასკევს კი რუსეთის ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ სამარელებს ახალი ფეხბურთელების შეძენა აუკრძალა. „კრილია სოვეტოვის" ყოფილ მცველ ევგენი ბუშმანოვს კლუბმა დავალიანება არ გაუსტუმრა და პროფლიგამაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

ვლადიკავკაზის „ალანია" ორმა ფეხბურთელმა დატოვა, დადუმ და ტუდორმა, რამაც გუნდის შემტევ პოტენციალზე იმოქმედა. როლან კურბისს ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი ტრავმის გამო აკლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვლადიკავკაზელები მესამე წუთზე გვაზავას გოლით დაწინაურდნენ. ქართველის დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და მასპინძელი მეკარე პოლიაკოვი დაიბნა.

სამარელებმა ნახევარ საათში ვითარება სათავისოდ შეაბრუნეს. რობერტას პოშკუსმა დუბლი შეასრულა, ხოლო ჩემპიონატის ბომბარდირმა კარიაკამ მეორე ნახევრის დასაწყისში გულშემატკივრებს შეღებილი თმით და ახალი ვარცხნილობით დაამახსოვრა თავი.

შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე იანოვსკიმ პოლიაკოვს ეშმაკურად, მოჭრილი დარტყმით გაუტანა და სამატჩო ინტრიგა გაცოცხლდა, მაგრამ სოუზა-მოიზესის ბრაზილიურმა საგოლე კომბინაციამ შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

პრემიერლიგის აუტსაიდერ ვოლგოგრადის „როტორს" 21 მარტის შემდეგ არ მოუგია. უკვე 104 დღე გავიდა, რაც ვოლგისპირელებს გამარჯვების გემო არ უგრძვნიათ. „როტორმა" ამჯერად ყაზანის „რუბინთან" წააგო.

აღსანიშნავია, რომ აპრილში „როტორის" მწვრთნელი ვიტალი შევჩენკო გაათავისუფლეს. მის ნაცვლად ვალერი იარემჩენკო დანიშნეს, რომელიც ივნისში გუნდთან ერთად ავსტრიაში შეკრებაზე იყო და იქიდან „აორთქლდა", რადგან კლუბის ბოსებთან საერთო ენა ვერ გამონახა.

ვოლგოგრადელებს იური მარუშკინმა უთავკაცა, ხოლო შევჩენკო კლუბის საპატიო პრეზიდენტ ვლადიმირ გორიუნოვთან ერთად სტადიონზე იმყოფებოდა.

ყაზანელებმა მეორე ტაიმში ბაირამოვის გოლით იმარჯვეს, მაგრამ ამის გარდა ბევრი მომენტი დაღუპეს, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელთა დაბრეტილი დაცვა იოლად შეტევის საშუალებას იძლეოდა.

ვაჟა ხუციშვილი

როსტოვი — ზენიტი. როსტოველთა გამარჯვების გოლი ბრაზილიელმა პერესმა მატჩის დასასრულს გაიტანა

ტორპედო	14	9	4	1	29:12	31
ზენიტი	14	8	3	3	26:18	27
ცსკა	14	6	7	1	23:13	25
კრილია	14	7	4	3	25:23	25
ლოკომოტივი	13	6	4	3	16:9	22
ალანია	14	5	4	5	14:16	19
სატურნი	14	3	8	3	15:13	17
რუბინი	14	3	7	4	15:14	16
დინამო	14	3	7	4	14:13	16
როსტოვი	14	4	4	6	16:21	16
ამკარი	14	3	7	4	11:17	16
მოსკოვი	13	3	5	5	15:17	14
სპარტაკი	13	4	2	7	21:25	14
შინიკი	13	3	5	5	7:12	14
ყუბანი	14	2	6	6	12:19	12
როტორი	14	1	3	10	14:31	6

ნორვეგია

ტიპელიგა. XV ტური

ლინი — მიოლდე 1:2; ბოდიო გლიმტი — ვოლერენგა 1:2; სტაბეკი — ოდ გრენლანდი 0:0; ვიკინგი — ტრომსიო 1:2; ჰამ კამი — სოგნდალი 3:2; ფრედრიკსტადი — ლილესტრიომი 1:4. *ბრანი — რუსენბორგი დღეს გაიმართება*

ტრომსიო	14	9	1	4	26:14	28
ლილესტრიომი	14	6	5	3	28:14	23
რუსენბორგი	13	6	5	2	24:14	23
ვოლერენგა	14	6	5	3	15:13	23
ჰამ კამი	14	6	4	4	20:21	22
ოდ გრენლანდი	14	5	6	3	24:19	21
ლინი	14	5	4	5	16:14	19
ბრანი	13	6	1	6	21:21	19
მიოლდე	14	4	6	4	17:18	18
ვიკინგი	14	3	7	4	13:16	16
სტაბეკი	14	4	3	7	13:21	15
სოგნდალი	14	3	5	6	23:28	14
ბოდიო გლიმტი	14	3	3	8	12:25	12
ფრედრიკსტადი	14	2	3	9	20:34	9

I დივიზიონი. XV ტური

ალესუნდი — მოსი 1:0; ჰაუგესუნდი — კონგსვინგერი 0:0; ჰიოდი — ვარდ ჰაუგესუნდი 3:0; მანდალი — სანდეფიორდი 3:2; ჰორს გრენლანდი — ბრინი 0:0; სკეიდი — ჰიონეფოსი 2:2; სტრიომსგოდსეტი — სტარტი 3:0; ტრომსდალენი — რაუფოსი 1:1

ირლანდია

პრემიერლიგა. XIX ტური

უოტერფორდი — დროჰედა 1:3; შელბურნი — შემროკი 1:1; სენტ პატრიკსი — დერი სიტი 0:1; ლონგფორდი — ბოჰემიანსი 0:1. *კორკ სიტი — დუბლინი გადაიდო*

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა. III ტური

I ჯგუფი

სენეგალი — ზამბია 1:0; კონგო — მალი 1:0; ლიბერია — ტოგო 0:0

II ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა — ბურკინა ფასო 2:0; უგანდა — განა 1:1; კაბო ვერდე — კონგოს დრ 1:1

III ჯგუფი

სუდანი — ლიბია 0:1; ბენინი — ეგვიპტე 3:3; კამერუნი — კოტ დივუარი 2:0

IV ჯგუფი

ნიგერია — ალჟირი 1:0; რუანდა — ზიმბაბვე 0:2; გაბონი — ანგოლა 2:2

V ჯგუფი

ბოტსვანა — მაროკო 0:1; მალავი — გვინეა 1:1

აშშ

MLS. XIV ტური

ვაშინგტონი — ნიუ იორკი 6:2; კოლამბუსი — ჩიკაგო 2:0; კანზასი — დალასი 5:1. *კოლორადო — ნიუ ინგლენდი და ლოს ანჯელესი — სან ხოსე წუხელ გვიან დამთავრდა*

შვედეთი

სუპერეტა. XIII ტური

ბოდენსი — კაფე ოპერა 1:1; ატვიდაბერგი — იოსტერსი 1:2; ბრაგე — ფრიოლუნდა 0:1; ბრომაპოიკარნა — ფრისკა 5:0; ენჩიოპინგი — ჰეკენი 1:3; გეფლე — ვასტერასი 0:2; ასირისკა — ფალკენბერგი 4:2; ნორჩიოპინგი — გაის 0:1

eurofan2004@hotmail.com

KOMENTATORI: იყო და არა იყო რა, სელესაოს მზეზე მწველი და ოტოზე ზე, რა ან ვინ იქნებოდა?! იყვნენ ბევრნი, სიცხეს და მზეს შეჩვეულნი და იყვნენ პინგვინების და ყინულის მეზობლებიც, იყვნენ არაამქვეყნიურებიც. იყო ერთი კეთილი, ულვაშა, მოსულელო, მყვირალა და პლაჟის მოყვარული კაციც და იყო პროსტო OTTO. იყვნენ მდიდარნიც, მელოტებიც, ჯერწვერგასაპარსი და სკოლიდან შატალოზე წასულებიც. არის ღმერთი და ორივენი წამდაუწუმ ღმერთებს ახსენებდნენ. ულვაშა, „სკოლად“ წოდებულმა კაცმა ვარსკვლავი ვერ აიტანა და თავად გახდა ღმერთი და იყო კაცი, რომელიც ღმერთების ოლიმპოზე მივიდა და თქვა: **მე ამისგან გავაკეთებ...** მანამდე ჯიგრებს სექსი აუკრძალა. წინ უფრო დიდი და საამო კაიფი გელითო და იკაიფეს, ხან ეკაიფნენ, და სექსს დანატრებულმა ევროპელებმა და მზისგან გარუჯულმა შავთეთრმა ხალხმა USA-ს დამოუკიდებლობის აღნიშვნაზე დაიწყეს ფიქრი. ორივენი ცდილობდნენ სულელი ბუშისთვის მიელოცათ. ერთნი იმ დროს იყვნენ მასპინძლები, მეორენი დიდი ოლიმპიადის მასპინძლები, თუმცა ახლა სტუმრები. და გახდა ულვაშა, მოსულელო, მყვირალა და პლაჟის მოყვარული კაცი თავად პირველი, არაევროპელი არქიფო, რომელმაც დაიბღავლა: **მე ეს უკვე გავაკეთე!**

იყო და არა იყო რა, სხვისთვის უკეთესი და ზოგისთვის უცუდესიც, რა იქნებოდა. ზიდანი იქა, ჟირესი და სამი ძმა არველაძე აქა, ერიკსონი და რაული იქა, ბევრი წაგებული ფული აქა, საქართველო პადვალში, ლატვია ფეხბურთის აკვანში.

ჩემი პასუხი კი KOMENTATORI-ს წერილზე ასეთია: NO COMMENT!

თუმცა მოვიდა სხვა წერილებიც, რომლებშიც ავტორები ოტო რეჰაგელს უფრო მიწიერად აქებენ და ადიდებენ.

GIO_KHUTSO: ავოე! ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-მეთქი! თუ არ გახსოვთ, იხილეთ „სარბიელი“ №141, ხო მაგარი ბიჭები ჰყავს ოტოს? არა, ჩემპიონები შეიძლება ვერ გახდნენ, მაგრამ ჩემპიონი საფრანგეთი ხომ მაინც დაიქნიეს, ესე იგი, ჩემპიონზე მაგრები არიან. იცით, რამ მაფიქრებინა ელინთა ასე შორს წასვლა, იმან, რომ რეჰაგელი მართლა დიდი მწვრთნელია. ოტოსეული „კაიზერსლაუტერნი“ გამახსენდა. არც მაშინ ელოდა ვინმე მათ ჩემპიონობას და არც ახლა ავდებდა ბერძნებს ვინმე სათვალავში, მაგრამ რეჰაგელმა როგორც მაშინ, ახლაც ყველაფერი თავდაყირა დააყენა. OTTO ZEUS!!!

P.S. სებერძნეთ ჩემპიონ!

უყურე შენ, კაცო, ოტო თუ ზევსია, მაშინ ზევსი ვინღაა? ისე, ერთი წერილი მაქვს, რომლის ავტორს არც ოტოსი სჯერა და არც ზევსის.

SOSOGAGNIDZE: აჰა, მოახლოვდა ფინალი ლამაზი პორტუგალიით და ყოვლად უსახური საბერძნეთით. ჩემი აზრით, ფინალში ბერძნებს ვერც რეჰაგელი უშველის და ვერც მაგათი ზევსი. თუ სადმე საფეხბურთო სამართალი არსებობს, ფინალი პორტუგალიამ უნდა მოიგოს, თანაც დამაჯერებლად. პორტუგალიის მოგება იმიტომ არის საჭირო, რომ ფეხბურთმა თავისი მიმზიდველობა და გულშემატკივარი არ დაკარგოს. შესარჩევიც მალე მოვა და ნახავთ ბერძნებს თუ კუდით ქვა არ ასროლინონ ჩვენმა ბიჭებმა.

და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს...

ჩვენ ვიზრდებით. იმის თქმა მინდა, რომ თუკი აქამდე წერილების შინაარსი ძირითადად ასეთი იყო: ხომ გავარდა თქვენი იტალია (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი...), ახლა დახვეწილი მანერები შევიძინეთ და წერილებს ლექსად და იგავებად ვაგზავნით. ხოლო მიმოხილვას სანამ შევუდგები, გეტყვით, რომ ეს წერილები ფინალამდეა გამოგზავნილი.

კუდით ქვის სროლისა რა გითხრა, ზოგი კი პირიქით ფიქრობს, პორტუგალია სულაც არ თამაშობს სანახაობრივ ფეხბურთსო. ვინ ფიქრობს? ვინ და ILO2:

— მე ვფიქრობ, რომ საბერძნეთის ნაკრებმა ნამდვილად დაიმსახურა ევროპის ჩემპიონატის ფინალში თამაში. ჯგუფიდან ისე გავიდა, რომ არავის არ მისცა იმის საბაბი, ეთქვათ, დაუმსახურებლად გავიდნენო. მეოთხედფინალში და ნახევარფინალში კი, გოლი არ გაუშვიათ. მე ფინალში არ ვგულშემატკივრობ პორტუგალიას ჯერ ერთი იმიტომ, რომ ინგლისი გააგდო და მეორე იმიტომ, რომ სანახაობრივ ფეხბურთს არ თამაშობს, იმ ფეხბურთს, რომელიც მას ეკადრება და შეშვენის.

SOSOGAGNIDZE და ILO2, როგორც ხედავთ, ერთმანეთს არ ეთანხმებიან, მაგრამ ახლა ერთ ისეთ წერილს წავიკითხავ, ესენი რომ გაერთიანდებიან და ამ წერილის ავტორს ერთად შეუტევენ. მაშ ასე, წერილი კაცისა, რომელსაც არაფერი მოსწონს:

— ყველას გილოცავთ... ერთი თამაშიც და დამთავრდება ფეხბურთიც და ჩვენი წამება. ისე, ცუდი საყურებელიც არ იყო... რა თქმა უნდა, ფეხბურთი არა... ხანდახან ტრიბუნებისკენ რომ გაეპარებოდა მზერა კამერებს, რა საამური იყო ლამაზლამაზი ლოყადროშიანი მდედრების ყურება და რა სამწუხარო იყო, რომ ეს მხოლოდ იშვიათად ხდებოდა. ჰო, ჩეხეთ — საბერძნეთი რა მაგარი რაღაცა იყო... მოვკვდი სიცილით. იმის მიუხედავად, რომ ცოტა ფინანსურად ვიზარალე, მაინც ძალიან სასაცილო იყო. ფანტასტიკური ფოტოა 2 ივლისის „სარბიელის“ მეორე გვერდზე გოლის მომენტი. აი, ეს ფოტოა ამ ჩემპიონატის სიმბოლო. უფრო სწორად, მეკარე ჩეხი, დაბნეული, უსუსური, შეშინებული. ისე, სხვებსაც ვერ დასწამებ ცილს, აზრიანი გამომეტყველებით მოძრაობდნენო. ძალიან სასაცილო იყო. ჩვენ კი რატომ ვერ უნდა გავიდეთ მსოფლიოზე? უნდა გავიდეთ, აუცილებლად უნდა გავიდეთ. მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მჯერა. ისე, ყოველი შესარჩევის წინ ძალიან მჯერა მე ბედკრულს, მაგრამ წელს უფრო სხვანაირად.

მუდამ თქვენი ტარკემადა

ტარკემადას დავეთანხმები, ტრიბუნებზე მართლა ჯიშიანი გოგოები სხედან, მაგრამ ფეხბურთმა რა დაგიშავა კაცო?! ფული მარტო შენ კი არა, DIDGORI 1121-მაც წააგო, მაგრამ ჩემპიონატს მასხრად არ იგდებს.

DIDGORI 1121: ეჰ, ისეთ ხასიათზე ვეღარ გწერ, მეც ნათიასმაგვარ სიტუაციაში ვარ (შეგახსენებთ, ნათიამ დანიაზე 100 დოლარი წააგო), მაგრამ მაინც მოგწერთ. ჩემი ნედვედი და ჩემი ჩეხეთი WINNERS პროგნოზად დარჩა. ნეტა, ჩეხეთს რაზე არ გაუვარდა. აი, საბერძნეთის მოგებას ერქვა გავარდნა. ჩეხეთს უნდა მოეგო ძირითად დროში. რაც დამატებულ დროში მოხდა, ეს უკვე ლოგიკა იყო. მაგ



თამაშით არ იმსახურებდა ჩეხეთი გამარჯვებას და წააგო კიდეც. ეს იმის ბრალია, რომ ძაან თავდაჯერებულები იყვნენ. საბერძნეთმა მოიგო ფიზიკური მომზადების ხარჯზე. ასეთი მომზადებული გუნდი თვით პორტუგალიაც არ არის. მაგრამ მე ისევ კლასის იმედზე ვარ და მჯერა, რომ პორტუგალია მოიგებს და მანიშე კიდევ ერთხელ გაიბრწყინებს. სკოლარი is great coach!!!

P.S. გაუმარჯოს GEORGIA-ს!

ევროპის ჩემპიონატზე კი ვლაპარაკობთ, მაგრამ თქვენს წერილებში ნელ-ნელა შემოიპარა საქართველოს ნაკრების ბედზე ჭმუნვა. მომდევნო წერილებში ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ნაკრების, ასე ვთქვათ, ჭრილშია გარჩეული.

SJORBENADZE: ღმერთმა ქნას და რაღაც წინსვლა იყოს: 5 მილიონი ქართველი გაიხარებს. მაგრამ, აბა, შეეკითხეთ ფრანგს, იტალიელს, თუნდაც პორტუგალიელს ან გერმანელს, მათ ვინ ურჩევნია ფინალში, საქართველო თუ ვინმე ბობოლა? მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენი წარმატება ძალზე გამახარებს. მე უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული გუნდის ფანი ვარ და შემდეგ იტალიის. მართალია, ფეხბურთი იმითაა კარგი, რომ აქ პატარები ხშირად ამარცხებენ დიდ გუნდებს. მართლაც იმიტომაა საინტერესო თამაში, რომ ყველა დარტყმა არ გადის და პროგნოზი ხშირად არ მართლდება, მაგრამ, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რა გერჩივნათ ნახევარფინალში, ჩეხეთი — საბერძნეთი თუ ჩეხეთი — საფრანგეთი? ან საბერძნეთი — პორტუგალიის ფინალი თუ იტალია — პორტუგალიის? მართალია, ძლიერმა იმარჯვა, მაგრამ დამერწმუნებით, ფინალისადმი სულ სხვა განწყობა იქნებოდა, ორი ბობოლა რომ ყოფილიყო (თუნდაც ჩეხეთი — პორტუგალია).

P.S. ისე, თურქეთს ეშველა, სლოვენიას ეშველა, კორეას ეშველა, ლატვიას ეშველა, სენეგალს ეშველა, საბერძნეთს ეშველა, აი, საქართველოს ნაკრების შველის პერსპექტივას რაღაც ვერ ვხედავ. იქნებ თქვენ მაინც ამჩნევთ კოჭებში ჩვენს ნაკრებს რამეს და გთხოვთ, დაგვამშვიდოთ და დაგვაწყნაროთ.

ვერ დაგამშვიდებთ! ეს წერილი რომ წავიკითხე, რედაქციაში გამოკითხვა მოვაწყე და ასეთი შედეგი მივიღე: თანამშრომელთა 85 პროცენტი თვლის, რომ საქართველოს ნაკრები გერმანულ მუნდიალზე ვერ მოხვდება, დანარჩენი 15 პროცენტი კი ფიქრობს, რომ საქართველოს მეორე ადგილზე გასვლა და პლეი ოფში თამაში შეუძლია.

მომდევნო წერილის ავტორმა კი მთხოვა, ჩემს წერილებს სულ ამოკლებ და ერთხელ სრულად დამიბეჭდეო. კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ მხოლოდ ერთხელ.

MEZVRO: ხალხს გაუმარჯოს! ოჰო, ეს რა ხდება. სენსაციამ ტურნირის ბოლოსკენაც შეგვახსენა თავი. ვინ იცის, ფინალშიც წამოყოს თავი ამ ფეხბურთის სენმა თუ მაცოცხლებელმა ძალამ. რატომ გადიან საბერძნეთის მსგავსი „სუსტი“ გუნდები იქ, სადაც მათ არავინ ელის?! საერთოდ, გუნდს ბობოლა ნაკრებებზე გამარჯვებაზე პრეტენზია რომ ჰქონდეს, რა თქმა უნდა, უნდა ჰყავდეს საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები. არ მაქვს ლაპარაკი მაინცდამაინც სუპერვარსკვლავებზე (ხიზანა, კალაძე და კობი გამოდგებიან). უნდა ჰყავდეს ჭკვიანი და გამოცდილი მწვრთნელი. ვინც კარგად აუხსნის ფეხბურთელს მოედანზე რა დავალება აქვს და რის ხარჯზე შეიძლება მოიპოვონ გამარჯვება (ჟირესი? რავი, შეიძლება გამოდგეს). ამის შემდეგ ჩნდება შანსი, მოუგო ნებისმიერ აღიარებულ ფავორიტს, თუ კონკრეტული 90 წუთის განმავლობაში იქნები მოწინაალმდეგეზე უფრო მონდომებული, მოტივირებული და პლუს ცოტაც იღბალი თუ დაგეხმარება. დარწმუნებული ვარ, პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი გუშინ წინასწარ ზეიმობდა ბერძნებზე გამარჯვებას, რამაც წაატეხინათ კიდეც მათ კისერი. ბევრს განსაზღვრავს მატჩისადმი სწორი მიდგომა, განწყობა, მონდომეს ბერძნებმა, დაუჯერეს გონიერ მწვრთნელს და აგერ, შედეგიც სახეზეა. თითოეული ფრანგი კლასით კი ჯობია თითოეულ ბერძენს, მაგრამ აჩვენა კი ფრანგთა გუნდმა ბერძნებზე ორი თავით უფრო მაღალი კლასის თამაში? არა, და ამიტომაც არ იყვნენ ღირსები გამარჯვების. (უჰ, კიდევ რამდენ სუპერნაკრებს მივალანძღავდი გაგულისებული, უკაცრავად, გაზულუქებული, მოედანზე ერთ ადგილს რომ არ ანძრევდნენ). ასეა, გამარჯვებული გუნდი არ ვლინდება იმის მიხედვით, თუ ვის მეტი ვარსკვლავი ჰყავს. მეცინება, მასე რომ იყოს, „რეალს“ წინასწარ გადასცემდნენ ხოლმე ჩემპიონთა თასს. ტურნირის გამართვა რაღა ჯანდაბად იქნებოდა საჭირო? არ მოგწონთ სენეგალი და საბერძნეთი, „პორტუ“ და „მონაკო“? „ჩელსი“ და „რეალი“ თუ გაიბერნენ სუპერვარსკვლავებით, იმიტომაც მოიგეს რა ლიგა. ვენაცვალე „პორტუს“, „მონაკოს“ და საბერძნეთს.

მიმოხილვა კი ლექსით დავამთავროთ.

KAKHA ILIA: რადგან ბანძები ასე ნავარდობთ, ფეხბურთის ყველა კარი ჩარაზეთ, და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავალთ ჩემპიონატზე!

UBER და FORCA საქართველო!

კახა-ილია კი არა, ილია-აკაკივაჟა უნდა გერქვას შენ!

ვებმასტერი ბუარა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ობიექტივი

მოტოციკლი მიჰქრის,
მის უკან კი დარჩა პოსტერი:
ისტორიული ევრომტრობა: ისევ შეიქმნება,
ისევ დავესწრებით, ისევ გაცოცხლდება

ღვთისმშობელო,
შენ დაიფარე სელესაო

ეტყობა ახლა რუდი ფიოლერს,
გერმანიის გავარდნა რომ ადარდებს?

ეუსებიო და ეუსებიო



თავო ჩემო, საბერძნეთი გაწერია

გერმანიის ბუნდესლიგა 2004-2005

ჩემპიონი „ვერდერი“ „შალკეთი“ იწყებს

პირველი წრე
2004 წელი

1-ლი ტური: 6-7 აგვისტო
ვერდერი : შალკე
ლაუტერნი : ნიურნბერგი
ფრაიბურგი : ჰანზა
დორტმუნდი : ვოლფსბურგი
არმინია : გლადბახი
ლევერკუზენი : ჰანოვერი
ჰერტა : ბოხუმი
ჰამბურგი : ბაიერნი
შტუტგარტი : მაინცი

მე-2 ტური: 14 აგვისტო
მაინცი : ჰამბურგი
ბაიერნი : ჰერტა
ბოხუმი : ლევერკუზენი
ჰანოვერი : არმინია
გლადბახი : დორტმუნდი
ვოლფსბურგი : ფრაიბურგი
ჰანზა : ვერდერი
შალკე : ლაუტერნი
ნიურნბერგი : შტუტგარტი

მე-3 ტური: 28 აგვისტო
ლაუტერნი : შტუტგარტი
ფრაიბურგი : გლადბახი
დორტმუნდი : ჰანოვერი
არმინია : ბოხუმი
ლევერკუზენი : ბაიერნი
ჰერტა : მაინცი
ჰამბურგი : ნიურნბერგი
შალკე : ჰანზა
ვერდერი : ვოლფსბურგი

მე-4 ტური: 11 სექტემბერი
მაინცი : ლევერკუზენი
ბაიერნი : არმინია
ბოხუმი : დორტმუნდი
ჰანოვერი : ფრაიბურგი
გლადბახი : ვერდერი
ვოლფსბურგი : შალკე
ჰანზა : ლაუტერნი
შტუტგარტი : ჰამბურგი
ნიურნბერგი : ჰერტა

მე-5 ტური: 18 სექტემბერი
ლაუტერნი : ჰამბურგი
ფრაიბურგი : ბოხუმი
დორტმუნდი : ბაიერნი
არმინია : მაინცი
ლევერკუზენი : ნიურნბერგი
ჰერტა : შტუტგარტი
ჰანზა : ვოლფსბურგი
შალკე : გლადბახი
ვერდერი : ჰანოვერი

მე-6 ტური: 25 სექტემბერი
მაინცი : დორტმუნდი
ბაიერნი : ფრაიბურგი
ბოხუმი : ვერდერი
ჰანოვერი : შალკე
გლადბახი : ჰანზა
ვოლფსბურგი : ლაუტერნი
ჰამბურგი : ჰერტა
შტუტგარტი : ლევერკუზენი
ნიურნბერგი : არმინია

მე-7 ტური: 2 ოქტომბერი
ლაუტერნი : ჰერტა
ფრაიბურგი : მაინცი
დორტმუნდი : ნიურნბერგი
არმინია : შტუტგარტი
ლევერკუზენი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : გლადბახი
ჰანზა : ჰანოვერი
შალკე : ბოხუმი
ვერდერი : ბაიერნი

მე-8 ტური: 16 ოქტომბერი
მაინცი : ვერდერი
ბაიერნი : შალკე
ბოხუმი : ჰანზა
ჰანოვერი : ვოლფსბურგი
გლადბახი : ლაუტერნი
ჰერტა : ლევერკუზენი
ჰამბურგი : არმინია
შტუტგარტი : დორტმუნდი
ნიურნბერგი : ფრაიბურგი

მე-9 ტური: 23 ოქტომბერი
გლადბახი : ჰანოვერი
ვოლფსბურგი : ბოხუმი
ჰანზა : ბაიერნი
შალკე : მაინცი
ვერდერი : ნიურნბერგი
ლაუტერნი : ლევერკუზენი
ფრაიბურგი : შტუტგარტი
დორტმუნდი : ჰამბურგი
არმინია : ჰერტა

მე-10 ტური: 27 ოქტომბერი
მაინცი : ჰანზა
ბაიერნი : ვოლფსბურგი
ბოხუმი : გლადბახი
ჰანოვერი : ლაუტერნი
ლევერკუზენი : არმინია
ჰერტა : დორტმუნდი
ჰამბურგი : ფრაიბურგი
შტუტგარტი : ვერდერი
ნიურნბერგი : შალკე

მე-11 ტური: 30 ოქტომბერი
ლაუტერნი : არმინია
ფრაიბურგი : ჰერტა
დორტმუნდი : ლევერკუზენი
ჰანოვერი : ბოხუმი
გლადბახი : ბაიერნი
ვოლფსბურგი : მაინცი
ჰანზა : ნიურნბერგი
შალკე : შტუტგარტი
ვერდერი : ჰამბურგი

მე-12 ტური: 6 ნოემბერი
მაინცი : გლადბახი
ბაიერნი : ჰანოვერი
ბოხუმი : ლაუტერნი
არმინია : დორტმუნდი
ლევერკუზენი : ფრაიბურგი
ჰერტა : ვერდერი
ჰამბურგი : შალკე
შტუტგარტი : ჰანზა
ნიურნბერგი : ვოლფსბურგი

მე-13 ტური: 13 ნოემბერი
ლაუტერნი : დორტმუნდი
ფრაიბურგი : არმინია
ბოხუმი : ბაიერნი
ჰანოვერი : მაინცი
გლადბახი : ნიურნბერგი
ვოლფსბურგი : შტუტგარტი
ჰანზა : ჰამბურგი
შალკე : ჰერტა
ვერდერი : ლევერკუზენი

მე-14 ტური: 20 ნოემბერი
მაინცი : ბოხუმი
ბაიერნი : ლაუტერნი
დორტმუნდი : ფრაიბურგი
არმინია : ვერდერი
ლევერკუზენი : შალკე
ჰერტა : ჰანზა
ჰამბურგი : ვოლფსბურგი
შტუტგარტი : გლადბახი
ნიურნბერგი : ჰანოვერი

მე-15 ტური: 27 ნოემბერი
ლაუტერნი : ფრაიბურგი
ბაიერნი : მაინცი
ბოხუმი : ნიურნბერგი
ჰანოვერი : შტუტგარტი
გლადბახი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : ჰერტა
ჰანზა : ლევერკუზენი
შალკე : არმინია
ვერდერი : დორტმუნდი

მე-16 ტური: 4 დეკემბერი
ლაუტერნი : მაინცი
ფრაიბურგი : ვერდერი
დორტმუნდი : შალკე
არმინია : ჰანზა
ლევერკუზენი : ვოლფსბურგი
ჰერტა : გლადბახი
ჰამბურგი : ჰანოვერი
შტუტგარტი : ბოხუმი
ნიურნბერგი : ბაიერნი

მე-17 ტური: 11 დეკემბერი
მაინცი : ნიურნბერგი
ბაიერნი : შტუტგარტი
ბოხუმი : ჰამბურგი
ჰანოვერი : ჰერტა
გლადბახი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : არმინია
ჰანზა : დორტმუნდი
შალკე : ფრაიბურგი
ვერდერი : ლაუტერნი

2005 წელი. მეორე წრე

მე-18 ტური: 22 იანვარი
ნიურნბერგი : ლაუტერნი
ჰანზა : ფრაიბურგი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
გლადბახი : არმინია
ჰანოვერი : ლევერკუზენი
ბოხუმი : ჰერტა
ბაიერნი : ჰამბურგი
მაინცი : შტუტგარტი
შალკე : ვერდერი

მე-19 ტური: 29 იანვარი
ჰამბურგი : მაინცი
ჰერტა : ბაიერნი
ლევერკუზენი : ბოხუმი
არმინია : ჰანოვერი
დორტმუნდი : გლადბახი
ფრაიბურგი : ვოლფსბურგი
ვერდერი : ჰანზა
ლაუტერნი : შალკე
შტუტგარტი : ნიურნბერგი

მე-20 ტური: 5 თებერვალი
შტუტგარტი : ლაუტერნი
გლადბახი : ფრაიბურგი
ჰანოვერი : დორტმუნდი
ბოხუმი : არმინია
ბაიერნი : ლევერკუზენი
მაინცი : ჰერტა
ნიურნბერგი : ჰამბურგი
ჰანზა : შალკე
ვოლფსბურგი : ვერდერი

21-ე ტური: 12 თებერვალი
ლევერკუზენი : მაინცი
არმინია : ბაიერნი
დორტმუნდი : ბოხუმი
ფრაიბურგი : ჰანოვერი
ვერდერი : გლადბახი
შალკე : ვოლფსბურგი
ლაუტერნი : ჰანზა
ჰამბურგი : შტუტგარტი
ჰერტა : ნიურნბერგი

22-ე ტური: 19 თებერვალი
ჰამბურგი : ლაუტერნი
ბოხუმი : ფრაიბურგი
ბაიერნი : დორტმუნდი
მაინცი : არმინია
ნიურნბერგი : ლევერკუზენი
შტუტგარტი : ჰერტა
ვოლფსბურგი : ჰანზა
გლადბახი : შალკე
ჰანოვერი : ვერდერი

23-ე ტური: 26 თებერვალი
დორტმუნდი : მაინცი
ფრაიბურგი : ბაიერნი
ვერდერი : ბოხუმი
შალკე : ჰანოვერი
ჰანზა : გლადბახი
ლაუტერნი : ვოლფსბურგი
ჰერტა : ჰამბურგი
ლევერკუზენი : შტუტგარტი
არმინია : ნიურნბერგი

24-ე ტური: 5 მარტი
ჰერტა : ლაუტერნი
მაინცი : ფრაიბურგი
ნიურნბერგი : დორტმუნდი
შტუტგარტი : არმინია
ჰამბურგი : ლევერკუზენი
გლადბახი : ვოლფსბურგი
ჰანოვერი : ჰანზა
ბოხუმი : შალკე
ბაიერნი : ვერდერი

25-ე ტური: 12 მარტი
ვერდერი : მაინცი
შალკე : ბაიერნი
ჰანზა : ბოხუმი
ვოლფსბურგი : ჰანოვერი
ლაუტერნი : გლადბახი
ლევერკუზენი : ჰერტა
არმინია : ჰამბურგი
დორტმუნდი : შტუტგარტი
ფრაიბურგი : ნიურნბერგი

26-ე ტური: 19 მარტი
ლევერკუზენი : ლაუტერნი
შტუტგარტი : ფრაიბურგი
ჰამბურგი : დორტმუნდი
ჰერტა : არმინია
ჰანოვერი : გლადბახი
ბოხუმი : ვოლფსბურგი
ბაიერნი : ჰანზა
მაინცი : შალკე
ნიურნბერგი : ვერდერი

27-ე ტური: 2 აპრილი
ჰანზა : მაინცი
ვოლფსბურგი : ბაიერნი
გლადბახი : ბოხუმი
ლაუტერნი : ჰანოვერი
არმინია : ლევერკუზენი
დორტმუნდი : ჰერტა
ფრაიბურგი : ჰამბურგი
ვერდერი : შტუტგარტი
შალკე : ნიურნბერგი

28-ე ტური: 9 აპრილი
არმინია : ლაუტერნი
ჰერტა : ფრაიბურგი
ლევერკუზენი : დორტმუნდი
ბოხუმი : ჰანოვერი
ბაიერნი : გლადბახი
მაინცი : ვოლფსბურგი
ნიურნბერგი : ჰანზა
შტუტგარტი : შალკე
ჰამბურგი : ვერდერი

29-ე ტური: 16 აპრილი
გლადბახი : მაინცი
ჰანოვერი : ბაიერნი
ლაუტერნი : ბოხუმი
დორტმუნდი : არმინია
ფრაიბურგი : ლევერკუზენი
ვერდერი : ჰერტა
შალკე : ჰამბურგი
ჰანზა : შტუტგარტი
ვოლფსბურგი : ნიურნბერგი

30-ე ტური: 23 აპრილი
დორტმუნდი : ლაუტერნი
არმინია : ფრაიბურგი
ბაიერნი : ბოხუმი
მაინცი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : გლადბახი
შტუტგარტი : ვოლფსბურგი
ჰამბურგი : ჰანზა
ჰერტა : შალკე
ლევერკუზენი : ვერდერი

31-ე ტური: 30 აპრილი
ბოხუმი : მაინცი
ლაუტერნი : ბაიერნი
ფრაიბურგი : დორტმუნდი
ვერდერი : არმინია
შალკე : ლევერკუზენი
ჰანზა : ჰერტა
ვოლფსბურგი : ჰამბურგი
გლადბახი : შტუტგარტი
ჰანოვერი : ნიურნბერგი

32-ე ტური: 7 მაისი
ფრაიბურგი : ლაუტერნი
მაინცი : ბაიერნი
ნიურნბერგი : ბოხუმი
შტუტგარტი : ჰანოვერი
ჰამბურგი : გლადბახი
ჰერტა : ვოლფსბურგი
ლევერკუზენი : ჰანზა
არმინია : შალკე
დორტმუნდი : ვერდერი

33-ე ტური: 14 მაისი
მაინცი : ლაუტერნი
ვერდერი : ფრაიბურგი
შალკე : დორტმუნდი
ჰანზა : არმინია
ვოლფსბურგი : ლევერკუზენი
გლადბახი : ჰერტა
ჰანოვერი : ჰამბურგი
ბოხუმი : შტუტგარტი
ბაიერნი : ნიურნბერგი

34-ე ტური: 21 მაისი
ნიურნბერგი : მაინცი
შტუტგარტი : ბაიერნი
ჰამბურგი : ბოხუმი
ჰერტა : ჰანოვერი
ლევერკუზენი : გლადბახი
არმინია : ვოლფსბურგი
დორტმუნდი : ჰანზა
ფრაიბურგი : შალკე
ლაუტერნი : ვერდერი

Sempione Cup 2004

სხვაობა მინიმალური, მსაჯობა კატასტროფული

დინამოს სამი გამოაჯლეს

სანდრო იაშვილმა (მარცხნივ) გოლიც მიითვალა და წითელი ბარათიც

თბილისის „დინამომ“ „სემპიონე კაპზე“ ასპარეზობა დასრულა — შვეიცარიულ „იანგ ბოიზთან“ 1:2 დამარცხდა და ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა, უკან კი „ბაზელი“ მოიტოვა. პირველობა არავის დაუთმო ბუქარესტის „დინამომ“, რომელმაც „ბაზელთან“ 3:3 ითამაშა

„იანგ ბოიზთან“ „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *მამალაძე, სალუქვაძე, კაშია (ბურდული 90), ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, კანდელაკი, კანკავა (გრიგალაშვილი 90), ახალაია, კაკალაძე (ალადაშვილი 58), გონჩაროვი (რომერო 82), იაშვილი.*

თამაშის წინ სიცხემ აუწია შაშიაშვილს და ხმალაძეს, მათ გარდა დინამოელებმა ტრავმის გამო სილაგაძე და ზოიძეც მოისაკლისეს.

შეხვედრა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. უკვე მე-9 წუთზე იაშვილმა მეკარის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ტაიმი ორმხრივ შეტევებში გაილია, თუმცა ოდნავ უკეთ მაინც დინამოელები გამოიყურებოდნენ.

მეორე ნახევარში კი თბილისელებს შვეიცარიელი მსაჯი ციმერმანი შემოსწყრა, რომელმაც სამი დინამოელი გააძევა, ახალაია (47-ე წუთზე), ალადაშვილი (79-ე) და იაშვილი (90-ე). ათი დინამოელი მაინც ახერხებდა მეტოქის შეტევების შეჩერებას და კონტრშეტევებს, მაგრამ 79-ე წუთზე თბილისელები ცხრანი დარჩნენ, რითაც „იანგ ბოიზმა“ მალევე იხეირა. 82-ე წუთზე შვეიცარიელთა ურუგვაელმა ლეგიონერმა ფერნანდო კორენომ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაჰკრა და ანგარიში გაათანაბრა. 88-ეზე კი მაქსიმოვიჩმა გამარჯვებისა შეაგდო.

დინამოელთა თქმით, შეხვედრის დასრულების შემდეგ მათთან უეფას წარმომადგენელი მისულა და მსაჯობისთვის კატასტროფული უწოდებია. თან თავიც უმართლებია — უეფა მსაჯების დანიშვნაში არ მონაწილეობდა და ეს მთლიანად ტურნირის ორგანიზატორებმა ითავესო.

დინამოელთაგან განსაკუთრებით ზურაბ მამალაძე გამორჩეულა. რიცხვნაკლული თანაგუნდელები მას რამდენჯერმე უხსნია აშკარა გოლისგან.

დღეს „დინამო“ ავსტრიული ზალცბურგისკენ აიღებს გეზს. „ალჰენ კაპის“ ტრადიციული ტურნირის პირველ მატჩს დინამოელები 6 ივლისს მასპინძელ „ზალცბურგთან“ გამართავენ. ამ წყვილის გამარჯვებული თუ დამარცხებული, შესაბამისად „ბრონდბიუ“ — „ბეშიქთაშის“ წყვილთან გაარკვევს ურთიერთობას.

დავით ერაძე

ქაველაშვილმა ალანია სამარაში გაიფრინა

რა იქნება ექვს თვეში?

შვეიცარიიდან წამოსულმა მიხეილ ყაველაშვილმა ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ გუშინ ექვსთვიანი კონტრაქტი გააფორმა და უკვე კლუბის სრულუფლებიან ფეხბურთელად ითვლება.

ჩვენიანმა ახალ-ძველ გუნდს ციურიხიდან სამარაში ჩააკითხა და კონტრაქტიც იქ დაამოწმა. შაბათს, მოგეხსენებათ, „ალანია“ „კრილია სოვეტოვს“ სტუმრობდა და 2:4 დამარცხდა. ოსები ახლა სამარიდან პირდაპირ სანკტ-პეტერბურგს ეწვევიან და „ზენიტთან“ ითამაშებენ. მიხეილ ყაველაშვილის ხელახალი ალანიური დებიუტიც შესაძლოა, სწორედ პეტერბურგში შედგეს, თუ არა და, ძველალანიური ყვითელ-წითელი მაისურით მიშა ქომაგებს ვლადიკავკაზში დაენახვება...

მიხეილ ყაველაშვილმა „ალანია“ და ახალგაზრდობა გაიხსენა

— „ალანიასთან“ კონტრაქტი ამ დილით გავაფორმე, მაგრამ კლუბის საჩემპიონატო განაცხადში ჯერ არ ვარ, აქამდე არ მოესწრო და კარგი იქნება, „ზენიტთან“ მატჩამდე კლუბი შესაბამის საბუთებს თუ გააფორმებს — გვითხრა მიხეილ ყაველაშვილმა.

— „ზენიტთან“ მატჩამდე თუ მოესწრო შენი განაცხადში შეყვანა, პეტერბურგში ითამაშებ?

— ვერ გეტყვი, ეს მწვრთნელის საქმეა. ისე კი, „ზენიტთან“ მატჩი ოთხშაბათსაა და ვფიქრობ, იქამდე სასურველ სათამაშო ფორმას ვერ აღვიდგენ. თუმც ვნახოთ, ეგებ ვითამაშო კიდეც.

— ფორმაში არ ხარ?

— მთლად ისეც ვერ ვარ, როგორც უნდა ვიყო. „ალანია“ რომ ემზადებოდა, მაშინ ვისვენებდი, გუნდს გვიან შევუერთდი, ერთკვირიანი ვარჯიშები კი ფორმის აღსადგენად საკმარისი არაა.

— ესე იგი, დებიუტს ვლადიკავკაზში გეგმავ?

— ალბათ ასე იქნება. ახალ გუნდთან შესაგუებლად ათი დღე კიდევ დამჭირდება.

— ახალ გუნდში ძველი ნაცნობებიდან ვინ დაგხვდა?

— სულ სამი კაცი — პაგაევი, იანოვსკი და კასიმოვი. ცხრა წლის წინ ჩვენ ერთად ვთამაშობდით, ჩემპიონები ერთად გავხდით.

— ჩემპიონობასთან ერთად შენ ბომბარდირიც გახდი...

— კარგი დრო იყო. „ალანიას“ მომგები მაშინ ერთი „სპარტაკი“ თუ იყო, თუმც მათაც ვაჯობეთ. ბომბარდირობაზე კი რა გითხრა, მქონდა მომენტები და გამქონდა.

— ახლანდელ „ალანიაზე“ რას იტყვი?

— ვერაფერს. ჯერ მხოლოდ ვვარჯიშობ. ვარჯიშისას კი გუნდის რეალური ძალა ნაკლებად ჩანს.

— „კრილიასთან“ მატჩს არ დასწრებიხარ?

— არა, სამარაში ღამით ჩამოვფრინდი.

— და გუნდში რას ამბობენ, რა მიზნები აქვს „ალანიას“?

— ხუთეული გვინდაო, ამბობენ, მაგრამ ახლა, რუსეთის ჩემპიონატის ცხრილს რომ ჩავხედე, „ალანიას“ სახუთეულო პერსპექტივამ დამაეჭვა. თანაც, როგორც ვიცი, ცეესკა, „ლოკომოტივი“, „ზენიტი“, „ტორპედო“ საკმაოდ ძლიერი გუნდები ყოფილან. ხუთეულისთვის კი ბარე ათ გუნდს შეუძლია ბრძოლა. თუ შეგძელით ხუთეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზურის მოპოვებაბ ხომ კარგი, თუ არა და...

— თუ არა და, კონტრაქტის გასრულებისთანავე დატოვებ „ალანიას“?

— კონტრაქტი დღეს გავაფორმე და ექვსი თვის მერე რა იქნება, ვერ ვიტყვი.

ძოგბა ინასარიძე

რუსთავი ჭორია

სპარტაკმა უმაღლესს სკოლა არჩია

საქართველოს მე-16 ეროვნული ჩემპიონატი 23 ივლისს დაიწყება, თუმც ჯერ კიდევ გვიჭირს თქმა, ვინ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. უფრო ზუსტად, ჯერაც გასარკვევ-გადასაწყვეტია წყალტუბოს „სამგურალისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ გარიგების ამბავი.

წყალტუბოელთა დარად, უმაღლეს ლიგას ერთი გაჭირვებულ-გაღატაკებული „შვილიც“ ჰყავს — „რუსთავი“. ჰოდა, ხმები დაირხა, შესაძლოა, რუსთაველებს თბილისურმა „სპარტაკმა“ გაუცვალოს ადგილიო, თუმც „სპარტაკის“ პრეზიდენტმა როლანდ ჩხაიძემ გუშინ საბგანგვიცხადა, რომ მისი კლუბი პირველ ლიგაში ითამაშებს...

ბატონ ბიბილეიშვილს ბრალი

— ბატონო როლანდ, გადაწყვიტეთ, სად ითამაშებთ?

— ჯერჯერობით პირველ ლიგაში ვართ.

— ესე იგი, უმაღლეს ლიგაზე ხელი ჩაიქნიეთ?

— ასე გამოდის. უკვე კალენდარიც შედგენილია და პირველ ლიგაში ვითამაშებთ.

— აბა, ჯერჯერობითო, რატომ თქვით?

— ვიგულისხმე, რომ პირველი ლიგიდან მალე ისევ დავუბრუნდებით უმაღლესს.

— ამბობენ, „სპარტაკს“ გაჭირვებულ „რუსთავთან“ გარიგება უნდაო...

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ დანამდვილებით გეტყვით, რომ ჭორია. უკვე გადავწყვიტეთ, პირველ ლიგაში ვითამაშოთ. „სპარტაკი“ ძალიან ახალგაზრდული გუნდია. ეს ერთი წელი უფრო მოვმაგრდებით, თასზეც ვეცდებით წარმატების მიღწევას და მერე ვიფიქრებთ დანარჩენზე.

— თასს შემთხვევით არ ახსენებდით...

— შარშანწინ მეოთხედფინალში გავედით, შარშან ნახევარფინალში. ასე რომ...

— შეკრებას სად გაივლით?

— დაახლოებით ერთ კვირაში სურამში წავალთ.

— ახალწვეულები ხომ არ გყავთ?

— ჩვენივე სპორტსკოლის ორი აღსაზრდელი დავიმატეთ, ეს არის და ეს.

— ბესიკ შეროზიას ამბავიც საბოლოოდ გადაწყდა?

— დიახ. გუნდს ბესო უთავკაცებს. მისი ძალიან მეიმედება.

ძახა შალამბერიძე

სლავოლიუბ მუსლინი და გიორგი დემეტრაძე

ქარგი სიტყვა ქართველებზე

დემეტრაძე საუკეთესოა, ჯამარაული ქარიზმატული

დონეცკის „მეტალურგმა“ შვებულება დაასრულა და საახალსეზონოდ ავსტრიაში, ვენის მახლობლად მდებარე სპორტულ ბაზა „ლინდაბრუნში“ ემზადება, რომელიც ავსტრიის ნაკრებს ეკუთვნის. ეს შეკრება „მეტალურგის“ ახალმა მწვრთნელმა, სერბმა სლავოლიუბ მუსლინმა მოითხოვა და კლუბის ხელმძღვანელობამაც უმალ გაუხერხა...

გოჩა ჯამარაული

ავსტრიაში გუნდთან ერთად ვარჯიშობენ ქართველი ლეგიონერებიც — გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე. „ჯამარა“ „მეტალურგის“ ლიდერი და კაპიტანია და მისი გუნდში დარჩენა მოულოდნელი არც ყოფილა, დემეტრაძეს კი თვალი რუსეთისკენ ეჭირა და ბევრს ეგონა, რომ უკრაინას გაეცლებოდა. მისით ხომ ვლადიკავკაზის „ალანია“ და რამენსკოეს „სატურნი“ იყვნენ დაინტერესებულნი, თუმც, როგორც ჩანს, გიორგიმ „მეტალურგში“ დარჩენა საბოლოოდ გადაწყვიტა და დონეცკელებს შეკრებაზეც წაჰყვა.

სხვათა შორის, დემეტრაძე გულშემატკივართა გამოკითხვით წინა სეზონის „მეტალურგის“ საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მან ხმების 22 პროცენტი მოაგროვა, მეორე-მესამე ადგილებზე არა აკოფიანი და იაია ტურე გავიდნენ 11-11 პროცენტით, ჯამარაული კი 2 პროცენტით მეცამეტე ადგილს დასჯერდა.

დონბასელებს ავსტრიაში ორჯერადი ვარჯიშები აქვთ, ამხანაგური მატჩი კი ჯერ არ უთამაშიათ. სლავოლიუბ მუსლინი ახალი გუნდით კმაყოფილია და ამბობს, რომ მომავალ სეზონში ქართველების დიდი იმედი აქვს:

— კაპიტანს მე დავნიშნავ, თუმცა სადღეისოდ ჯამარაულს ბოლომდე ვენდობი. იგი გუნდის ქარიზმატული ლიდერია. გოჩა ყველაზე უფროსიცაა გუნდში და თამაშიც მის გარშემო აეწყობა, ოღონდ თუკი მასზე ღირსეულს ვნახავ, კაპიტნობას მაშინვე ჩამოვართმევ. კაპიტანი ყველგან ლიდერი უნდა იყოს — მოედანზეც და მის გარეთაც. ჯამარაული ამ მხრივ სრულიად მაკმაყოფილებს.

— „მეტალურგში“ ისიც მახარებს, რომ კიდევ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი მყავს. განსაკუთრებით თავდასხმის ხაზს გამოვარჩევ.

ერთი სიტყვით, დონეცკში ქართველების ისევ სჯერათ და მუსლინიც ჩვენებურებზე სეზონისწინა ავანსებს უკვე არიგებს. „მეტალურგს“ მომავალ ჩემპიონატში სამეულში მოხვედრა აქვს დაგეგმილი, მანამდე კი უეფას თასზე თამაში მოუწევს.

კახა ზალამბერიძე

ვიტ ჯორჯიამ და ჰანოვერმა ნულები გაინაწილეს

საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ გუშინ გერმანული შეკრების მეორე საწვრთნელი მატჩი ჩაატარა და ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, ამჯერადაც ფრე — 0:0. თუმც გუშინდელი ფრე უფრო საპატიოა, ჩვენებმა ბუნდესლიგის „ჰანოვერთან“ ითამაშეს.

მატჩი საკმაოდ დაძაბული, თვალსასეირო ყოფილა, საგოლე მომენტები ორივე კართან ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა, მაგრამ ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხან მეკარეები ყოჩაღობდნენ. სათქმელია ისიც, რომ „ჰანოვერი“ „ვიტ ჯორჯიას“ თითქმის უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდა, ცხრა გერმანელი შარშანდელ ბუნდესლიგაშიც თამაშობდა.

ჩვენების შემადგენლობა კი საქართველოს ჩემპიონატში ნაცადი იყო: მამარდაშვილი, [illegible], ქობიაშვილი, კვახაძე ([illegible]), ინწკირველი, ლ. [illegible]ძე, დიღმელაშვილი, მალიჩავა (ერ. მერებაშვილი), გველესიანი, გოჩაშვილი, მარცვალაძე (ებანოიძე).

ტრავმის გამო ვერ ითამაშა დათუნაიშვილმა, ის ვარჯიშზე დაშავდა და გუშინ მხოლოდ ძუნძულს დასჯერდა. გუნდის ექიმების თქმით, დათუნაიშვილის ტრავმა სერიოზული არ არის.

შემდეგ მატჩს „ვიტ ჯორჯია“ ხვალ რეგიონალლიგის ერთ-ერთ გუნდთან გამართავს, თბილისში დაბრუნებამდე, 9-ში კი ჩვენები მასპინძლებს, „ნორთჰ აუზენს“ ეთამაშებიან.

ქობა ინასარიძე

ალანიამ ქართველები ისევ გაასამა

განახლებულ რუსულ პრემიერლიგაში ყველაზე სწრაფი გოლით ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი ლეგიონერი ლევან გვაზავა გამოირჩა. მან სამარაში „კრილია სოვეტოვთან“ მესამე წუთზე გახსნა ანგარიში, თუმც საკმაოდ მალე, 24-ე წუთზევე შეცვალეს, რამაც გვაფიქრებინა, რომ ლევანი დაშავდა, მაგრამ ეს კურბისის ტაქტიკური სვლა ყოფილა... ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს თავად გვაზავა...

ლევან გვაზავამ (მარცხნივ) 3 წუთში გატანა მოასწრო

— როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული და რთული მატჩი გამოდგა. მომენტები ორივე კართან მრავლად იყო.

— გოლი მესამე წუთზე გაიტანე...

— ბურთი ჩემს ფრთაზე მივიღე, თავისუფალი სივრცე დავინახე და საჯარიმომდე ვირბინე. დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დავარტყი და გამიმართლა. ნაღდად კარგი გოლი გამოვიდა.

— 24-ე წუთზე რატომღა შეგცვალეს, ტრავმამ ხომ არ შეგაწუხა თავი?

— არა. ყველაფერი რიგზეა. შეიძლება, ახალტრავმამოშუშებულს 90 წუთი ვერ გამეძლო, მაგრამ 24-ე წუთზე თავს სუსტად არ ვგრძნობდი. უბრალოდ, კურბისმა ტაქტიკური გადაადგილებები მოახდინა, დაცვა გააძლიერა. თანაც ამ დროისთვის „კრილია“ დაწოლას აძლიერებდა, ანგარიში კი 1:1 იყო. მერე გვითხრა, რომ შეტევაზე წამოსული მეტოქის კონტრშეტევაზე გამოჭერა სურდა.

— დარასელიას ტრავმის საქმე როგორაა?

— ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის. მომავალი ტურის მატჩში თუ ვერა, უახლოეს მომავალში ნაღდად ითამაშებს.

— ყაველაშვილს როგორ შეხვდნენ?

— მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ. კურბისი ცალკე ელაპარაკა და უთხრა, ფორვარდის პრობლემა შენით უნდა გადავჭრათო. დღეს მიშამ გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც, საუცხოო ფორმაშია. მალე ვიტალიც მომჯობინდება და სამივე ვითამაშებთ.

დავით ერაძე

რეხვა რეხვომ ჰეთ თრიქი

მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის“ (ამჟამად „მოსკვას“) ნატანჯ-ნაწვალებმა ქართველმა ნახევარმცველმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა ახალ ნავსაყუდელს მიაგნო. ლატვიური „ვენტსპილსი“ ყველაფერზე მოელაპარაკა ჩვენებურს, მის ყოფილ კლუბთანაც მოაგვარა ფინანსური საკითხები და კონტრაქტიც გაფორმდა.

რეხვიაშვილმა უკვე პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა „ვენტსპილსის“ მაისურით და... 3 გოლი გაიტანა — საქართველოს ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა ლატვიის თასის მერვედფინალში იყოჩაღა.

მართალია, „ვენტსპილსმა“ 14:0 დაამარცხა მესამედივიზიონელი „ალოია“, მაგრამ რეხვიაშვილზე მეტის გატანა მხოლოდ მიკულენასმა (5 გოლი) შეძლო. ამგვარად, „რეხვომ“ ახალ კლუბში გადასვლა უჩვეულო ჰეთ თრიქით აღნიშნა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ „სკონტომ“ 13:0 სძლია მეორედივიზიონელ „ფორტუნას“. რიგელთა მეტოქეს ფორტუნამ აშკარად აქცია ზურგი — „სკონტოს“ გოლების ნახევარზე მეტი (7) კალნინშსის ანგარიშზეა, ზურაბ მენთეშაშვილს და გიორგი ყიფიანს კი თავი არ გამოუჩენიათ.

კახა ზალამბერიძე

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

SHUTUPOVA

მარიამ ყველა გააჩუმა

ქალები

ფინალი

მარია შარაპოვა (13, რუსეთი) — სერენა უილიამსი (1, აშშ) 6:1, 6:4

ათი წლის წინ, როცა თავისი შვიდი წლის გოგო ამერიკაში, ნიკ ბოლეტიერის საჩოგბურთო აკადემიაში მიჰყავდა საწრთობად, მარია შარაპოვას მამა იურის ჯიბეში ხუთასი დოლარი ედო.

მაშინ მას ალბათ ნაკლებად წარმოედგინა, რომ გავიდოდა ათი წელი და მისი შვილის სანაქებო გარჯის საზღაურად იმავე ჯიბეში 560 500 გირვანქა სტერლინგს ანუ მილიონ დოლარზე მეტს ჩაუდებდნენ.

მაშ ასე:

მამა რიჩის ფულისმჭრელი მანქანის სანაცვლოდ — რაიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უიმბლდონურ სეფეკოინდარს უპრობლემოდ ჯეგავდა და ჯერ ვინუსის (2000-01), ხოლო მერე სერენას (2002-03) ჩოგნით ზედიზედ ხვეტდა საპრიზო ხვასტაგს — ოლინგლანდკლაბურ და, მაშასადამე, რაგინდარაკლაბურ კორტებსაც ამიერიდან ახალი, ციმბირული წარმოების მანქანა გაჯეგავს.

ოღონდ ამ ციმბირულ დანადგარს კორტზე უფრო ფლორიდული სურნელი შემოაქვს, ვიდრე ურალსგაღმული ხაშმი, დახვეწილი გარეგნობითაც სლავურობის საუკეთესო ვარიანტს განასახიერებს და — რაც ყველაზე მთავარია — ისე თამაშობს, როგორც მხოლოდ ზეგარდმო ნიჭით ცხებულ მეჩოგნეებს ხელეწიფებათ.

მისი თამაში ადრე რომ მენახა, აქამდეც გეტყოდით, ამ ტურნირს ეგ რომ მოიგებდაო, იძახდა ფინალის წინა დღეს ლეგენდარული უიმბლდონოსანი ჯონ მაკინროი. „თუკი გავითვალისწინებთ — დასძენდა ის — რომ აქამდე მას დიდი მარცხი არასოდეს განუცდია და ჯერ არც კი იცის, თუ რას ნიშნავს ეს, ამჟამინდელ საჭოჭმანო ფორმაში მყოფი სერენა მასთან ვერაფერს გახდება.“

დიად ამერიკელს ალღომ არც ამ ჯერზე უმტყუნა.

სერენა, რომელსაც იქ მისი ოჯახის მიერ ზედიზედ ოთხგზის ნაშოვნი ტიტულის დაცვა და ტურნირის ზედიზედ მესამეჯერ მოგება უნდა ეცადა, თავიდანვე, უკვე მოთელვის დროსაც მაგრად ნერვიულობდა.

ნერვიულობდა ის ნახევარფინალშიც, ამელი მორესმოს წინააღმდეგ, მაგრამ რაკი თამაშის მსვლელობისას ჯიგრის შემმღვრევმა ფორიაქმა მისი მეტოქეც შეიპყრო, სერენამ აქეთ-იქით მოყანყალე მატჩის სადავეთა მობლუჯვა მაინც მოახერხა.

ფინალში კი სერენამ უკვე მარტომ ინერვიულა — თუ არ ჩავთვლით მეორე სეტის მერვე გეიმს, რომელშიც უმცროსმა უილიამსდამ შარაპოვასთვის მოწოდების წართმევა შეძლო, 17 წლის რუსგოგოს ჩოგანი ერთხელაც არ აკანკალებია, ურთულესი, მრავალფაზა გათამაშებების დროსაც კი აუღელვებლად ბურთაობდა და სერენას უძნელეს დარტყმებს კიდევ უფრო ნატიფი და მძლავრი დარტყმებით ახშობდა.

ნორჩი მეტოქის კადნიერებამ, სიმძლავრემ, მოგებაზე დაგეშილობამ და ასევე უნარმა ნებისმიერი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნისა, კორტზე ისედაც ზაფრიანად გასულ სერენაზე სულ მთლად დამთრგუნველად იმოქმედა. პირველი სეტი მან პირწმინდად დათმო და, მართალია, მეორეში ოდნავ უკეთ ირჯებოდა, დაკვირვებული თვალისთვის აშკარა იყო — სენსაცია გარდაუვალი ჩანდა.



REUTERS ლონდონიდან

ამგვარ შთაბეჭდილებას ისევ შარაპოვა აძლიერებდა, ვინაც თავის მხრივ სულაც არ აპირებდა, რამსები აერია და კარგად დაწყებული ჩაეფლავებინა. სწორედ ამგვარი სატიტულე განწყობის გამოვე შეძლო, მეორე სეტში დათმობილი გეიმი უმალვე უკუეგო და სერენას მერე უკვე გაღმაც გადავებოდა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, რაც მოხდა, ყველაფერს თავისი მყარი და შეუვალი ლოგიკა ჰქონდა.

სხვაფრივ:

სერენას ერთი კვირის თავზე აუხდა მარტინა ნავრატილოვას ნათქვამი — დამარცხებამ ვინუსს უკვე მიაკითხა და ახლა ვინძლო სერენასაც მიაკითხოსო.

ეგებ თქვენც გახსოვდეთ, ყველა დროის თითქმის ყველაზე ტიტულოვანი ქალმეჩოგნე უილიამსდებს სწორედ ამ უიმბლდონობისას რომ შემოსწყრა, ისინი ჩოგბურთს ცხოვრების უმთავრეს საქმედ აღარ თვლიან და ამის გამოა, მოგებას რომ გადაეჩვევნენო. ამაზე უილიამსდათა მამილო რიჩმა თქვა, რომ ეს ამბავი მას, პირუკუ, უხარია და რომ თავის გოგონებსაც ის მუდამ იმას ურჩევდა, მხოლოდ ჩოგბურთზე არ ჩაკიკლულიყვნენ.

მათი ეს სიტყვიერი გაპაექრება ჩვენ განზრახ უკომენტაროდ დავტოვეთ, რაკიღა იმედი გვქონდა, რომ მოვლენათა განვითარება ყველაფერს თავისებურად განსჯიდა.

და აკი განსაჯა კიდეც — როცა ბუნებას შენზედ კალთა დაუბერტყავს და სადიდჩემპიონო უნარები მოუმადლებია, კეთილი უნდა ინებო და უნიჭო დიზაინერობას (რასაც უილიამსდები უკვე მისდევენ) და უნიჭო მსახიობობას (რასაც სერენა მერმისში აპირებს) კორტზე ოფლის ღვრა და გუთნის ბოლომდე გატანა არჩიო.

არ არჩევ?! მაშინ რუსული ჩექმისაც მოგხვდება.

ეგ მით უფრო, რომ რუსთა ჩოგბურთის მახვში შამილ ტარპიშჩევი უკვე როლანგაროსობის მერე გვაფრთხილებდა, ახლა კი ვეღარავინ გაგვაჩერებსო.

ჯერ-ჯერობით, ვერც ვაჩერებთ.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 17 წლის მაშა გახდა პირველი რუსი, უიმბლდონობის მოგება რომ მოახერხა და მეორე რუსი ქალი — ხსენებულ როლანგაროსობაზე წარმატებული ანასტასია მისკინას შემდეგ — რაგინდარა სლემტიტული რომ იშოვა.

ღია პირველობათა ერაში ანუ 1968 წლიდან შარაპოვაზე უმცროსი, დიდი მუზარადის რომელსამე ტურნირზე რომ იმარჯვა, მხოლოდ მარტინა ჰინგისი გახლდათ. ცუგრუმელა შვეიცარიელმა 1997 წლის უიმბლდონობის ფინალში ჩეხ იანა ნოვოტნას აჯობა.

REUTERS ლონდონიდან

სერენამ დაიჩოქა

უიმბლდონის ახალგამომცხვარი ჩემპიონი ნამატჩევს ბევრს და ხალისიანად ყურობინებდა

— რა გრძნობა გეუფლებათ, როცა ასეთი რამ გესმით — „მარია შარაპოვა — უიმბლდონის ჩემპიონი“?

— ამის აღსაწერად სიტყვებიც არ მყოფნის. ეს უბრალოდ სასწაულია. ცხადია, აქ მოგებაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაგრამ თუკი ეს ასე სწრაფად მოხდებოდა, ვერ წარმომედგინა.

— ისე ჩანდა, თითქოს დარწმუნებული იყავით, რომ მოიგებდით. დაჯილდოების ცერემონიაზეც ისე მშვიდად გამოიყურებოდით, თითქოს საამისოდ ემზადებოდით კიდეც...

— არა, ამაზე არ მიფიქრია, თუმცა მჯეროდა.

— აგვიხსენით, როგორ შეძელით სერენა უილიამსის დამარცხება, ასე ხომ მას ვერავინ ერეოდა?

— სიმართლე გითხრათ, მე თვითონაც არ ვიცი, ეს როგორც მოხდა. რაღაც განსაკუთრებული ტაქტიკა არ მქონია, უბრალოდ ვთამაშობდი. პრაქტიკულად ვერც ვხედავდი კიდეც, ჩემ ირგვლივ რა ხდებოდა, თითქოს ჩემს გარსში ვიყავი გახვეული.

— და რა ხდებოდა იმ გარსში?

— იმაზე არც კი ვფიქრობდი, რომ ფინალში ვარ. უბრალოდ, ცდილობდი იმაზე მომეხდინა კონცენტრაცია, რასაც ვაკეთებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ რაღაცის გაკეთებას ძალიან მოვინდომებდი, ყველაფერი გამომივიდოდა.

— იცოდით თქვენი მეტოქის მოწყვლადი ადგილები?

— თითქოს არა. მე არცკი მინახავს, როგორ თამაშობდა ის ამ ტურნირზე. წელანაც გითხარით, რაიმე კონკრეტული გეგმა არ მქონდა-მეთქი. უბრალოდ, ჩემი ჩოგბურთის თამაშს ვაპირებდი და დანარჩენი მერე უნდა გამოჩენილიყო.

— თქვენ უბრალოდ გაჭყლიტეთ სერენა, ასეთი რამ კი ადრე არავის გამოსვლია. თქვენ თავად გაკვირვებული ხართ ამით?

— დიახ, ძალიან გაოცებული ვარ. პირველი სეტი ძნელი იყო, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ინიციატივას მე ვფლობდი. მეორე სეტში, როცა ჩემი მოწოდება დავთმე და 2:4-ით ჩამოვრჩი, ჩემ თავს ვუთხარი: „მაშა, აიყვანე შენი თავი“ და ეს შევძელი კიდეც.

— როგორ ფიქრობთ, შეიცვლება თქვენი ცხოვრება ამ მოგების შემდეგ?

— არ ვიცი, ისე კი, იმედი მაქვს, რომ ეს არ შემცვლის მე, როგორც პიროვნებას. ახლობლებისთვის უკვე ნათქვამიც კი მაქვს: „თუკი ამ მოგების მერე ძალიან შევიცვლები, ერთი კარგად მდრუზეთ თავში, აზრზე რომ მოვიდე.“

— შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ფინალში თქვენ უწინარესად ფსიქოლოგიურად იყავით ძლიერი?

— დიახ, შეიძლება.

— ახლა რომელი ტურნირის მოგებაზე ოცნებობთ?

— მინდა, დიდი მუზარადის ყველა ტურნირი მოვიგო, და კიდეევ, სულ მცირე, ერთხელ მაინც — უიმბლდონობა.

— ბევრი თქმულა იმაზე, რომ თქვენ რეკლამითა და მოდითაც ხართ დაკავებული. ეს თქვენთვის ჩოგბურთის მნიშვნელოვანი ნაწილია?

— ჩოგბურთის ნაწილი? არა, ამას ჩოგბურთთან არავითარი კავშირი არა აქვს. ეს სრულიად სხვა რამეა, თუმცა მოდა ძალიან მომწონს. როცა საჩოგბურთო კარიერას დავასრულებ, ალბათ ამ ბიზნესს მივყვები.

— რაში დახარჯავთ უიმბლდონზე მოგებულ ფულს?

— როცა მართვის მოწმობას ავიღებ, PORCHE CAYENNE-ს ვიყიდი.

— მოგება პირველებმა ვინ მოგილოცეს?

— ბორის ელცინმა, ბელარუსში, გომელში მცხოვრებმა ბებიამ და მაშა კირილენკომ.

— გყავთ თუ არა მეგობარი ბიჭი?

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემი პირადი ცხოვრების კომენტირებას არ ვაპირებ.

— მაინც, რომელთან უფრო ისურვებდით ურთიერთობას — როჯერ ფედერერთან თუ ენდი როდიკთან?

— რამდენადაც მე ვიცი, ორივე მათგანს მეგობარი გოგონა ჰყავს.

REUTERS ლონდონიდან

ბედნიერი მამა-შვილი: მარია და იური შარაპოვები

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი



REUTERS

უფრო! ფედერერი წამგები არ იყო

კაცები

ნახევარფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 7:6 (8:6); ენდი როდიკი (2, აშშ) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 4:6, 7:5, 7:5

სამისოდ, რათა სებასტიან გროჟანთან პარასკევიდან გადმოდებული თამაში მოეყომარებინა, შარშანდელ ჩემპიონ როჯერ ფედერერს სულ რალაც 29 წუთი დასჭირდა. შეგახსენებთ, რომ წინა დღეს, როცა ოლინგლანდკლაბზე წვიმამ მოასხა, შვეიცარიელი ორი სეტითა და ზედაც 4:3 იგებდა.

შაბათს ფედერერმა ოდნავ მძიმედ დაიწყო და გროჟანმა სეტის ტაიბრეიკამდე მიყვანა შეძლო, იქ კი 4:0-ითაც დაწინაურდა. მაგრამ ეგ იყო და ეგ — კორტთან გაჩვეულმა პირველოსანმა მატჩს ლაგამი ამოსდო და ისე მოზიდა, რომ 26 წლის ფრანგს ჩოგნის გასავსების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

მატჩმა საბოლოო ჯამში საათსა და 59 წუთს გასტანა და გაუწყებთ, რომ ფედერერმა თავისი ზედიზედ 23-ე საბალახსაფრო გამარჯვება მიითვალა.

გროჟანი კი უკვე ზედიზედ მეორე წელია, უიმბლდონობაზე ნახევარფინალში მარცხდება — შარშან მან მარკ ფილიპუსისთან დათმო.

ფედერერთან შედარებით წვიმიანობის შემდეგ გაცილებით უფრო გაუჭირდა ენდი როდიკს. მატჩის შეწყვეტისას 21 წლის ამერიკელი მასზე წლით უმცროს ხორვატს სეტითა და ასევე 4:3-ით უგებდა, მაგრამ კორტზე მობრუნებულმა ჯერ თავისი გეიმი ჩააფლავა, მერე კი — მთლიანად სეტიც.

პრობლემატურად დაიწყო მისთვის მესამე ხელიც და მესამე გეიმში ერთბაშად ხუთი ბრეიკპოინტის მოგერიება მოუხდა. მატჩის ბედიც არსებითად სწორედ ამ მომენტში გადაწყდა, რაკილა თავის გეიმის გადამრჩენელმა ენდიბოიმ მეტი ძალი მოიცა და მეტოქისთვის მუქთად აღარაფერი დაუთმია — პირუკუ, რაც მოსაგებად სჭირდებოდა, იქით წაართვა.

თავის პირველ უიმბლდონურ ფინალში მოხვედრა როდიკს ველარც ლონდონურმა ჟუჟუნამ დაუშალა, რაიც მთელი შაბათის განმავლობაში ჟინჟლავდა და მხოლოდ ზედ ქალთა ფინალის წინ შეწყდა.

ფინალი

ფედერერი — როდიკი 4:6, 7:5, 7:6 (7:3), 6:4

მეოთხედფინალში ფედერერთან მარცხის შემდეგ ლეიტონ ჰიუიტი ამბობდა — მასთან მოგების ერთადერთი შანსი მაშინ გაქვს, თუკი ერთ შანსსაც არ გაუშვებო. ის მატჩი ჰიუიტმა საუცხოოდ ითამაშა და — თუკი თქვენც გინახავთ — შანსებიც ნაღდად ჰქონდა. მაგრამ ყოველ გადამწყვეტ გათამაშებას ან ფედერერი იგებდა ანაც — უმეტეს შემთხვევაში — ისევ თავად ლეიტონი აგებდა.

გუშინ ენდი როდიკმა ჰიუიტზე შეუდარებლად მეტი შანსი შექმნა. მაგრამ ჰიუიტისავე მსგავსად, ამისგან რაიმე ხეირი ვერც მან გამოადნო.

მატჩი ამერიკელმა და მისმა ბრძენმა მწვრთნელმა ბრედ გილბერტმა მართლაც საარაკოდ დაიწყეს. გილბერტს აქ შემთხვევით არ ვახსენებთ — როდიკის მიერ არჩეული ტაქტიკა, ფავორიტად შერაცხულსა და დამაჯერებელი გამარჯვებებით გალაღებულ ფედერერს თავიდანვე გალმა გადავებოდა, შტაბში კარგად მომზადებული საომარი გეგმის განხორციელებას ჰგავდა.

პირველ სეტში როდიკმა ეს გეგმა ბრწყინვალედ განახორციელა — თავის მძლავრ გლაჯუნს ბადესთან მოულოდნელად ხშირად გასვლებიც დაურთო და დაზაფრულ ფედერერს მისი მოწოდებაც აართვა და სეტიც.

მომდევნო ხელი ფედერერის უპირატესობით დაიწყო და მან ზედიზედ ოთხი გეიმი მიითვალა. მაგრამ როდიკი ისევ გააქტიურდა და ასევე ზედიზედ ოთხი გეიმის მითვლით წონასწორობა აღადგინა.

ამ დროს შეიქმნა ილუზია, რომ როდიკი კვლავ მკაფიოდ განსაზღვრული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, ხოლო ფედერერი მხოლოდ რეაგენტის როლში იყო. მაგრამ იმავდროულად გამოჩნდა ისიც, რომ მეტოქის ბოლომდე დასათრგუნად როდიკს არც ილაჯი ჰყოფნიდა და არც სტაბილურობა. ამიტომ, მართალია, მომენტებში ის ახერხებდა მეტოქის შევიწროვებას, მაგრამ საბოლოო, გადამწყვეტი უპირატესობის შენარჩუნება კი აღარ გამოსდიოდა.

მესამე სეტში კი ფედერერის შემწედ წვიმაც მოვიდა, რომელმაც თამაში რამდენჯერმე მანამდეც შეწყვიტა, მაგრამ არც ერთხელ — ასე საბედისწეროდ. იმ მომენტისთვის როდიკი 4:2 იგებდა და ჩანდა, თითქოს მთელი სეტის სათავისოდ გადახრაც შეეძლო.

მაგრამ ნაწვიმევს ფედერერი კორტზე უკვე საოცრად დამშვიდებული და მეტი აგრესიით აღჭურვილი დაბრუნდა. ხოლო როცა მან სამი გეიმი მოირეწა და წინ გაიჭრა, უკვე შეუიარაღებელი თვალიც შეძლებდა იმისი დანახვას, რომ ამ მატჩის წამგები ის აღარ იყო.

რაღა ბევრი გავაგრძელეთ, ეს ორი სხვადასხვასტილა ოსტატის არაჩვეულებრივი, დიდებული მატჩი იყო. და ის უფრო მრავალფეროვანმა, უფრო მარაგიანმა, უფრო სტაბილურმა და უფრო თავდაჯერებულმა მეჩოგნემ მოიგო.

ეს იყო მისი მეექვსე (!) საამსეზონო და მეჩვიდმეტე საკარიერო ტიტული. რაც მთავარია, მან ზედიზედ მეორედ იმარჯვა უიმბლდონობაზე და უდიდეს ქარიზმასთან ერთად გამარჯვებულისთვის დათქმული 602 500 გირვანქა სტერლინგიც ირგუნა.

და კიდევ — მისთაობელთა შორის ფედერერი პირველი სამგზის სლემტიტულოსანი მეჩოგნეა. წლეულს მოგებული ექვსი ტურნირიდან ხომ პირველი ავსტრალიის ღია პირველობა იყო.

ოჰ, ეს წყეული პნევმოთორაქსი

ნაცვლიშვილს ნაკრებს კარგა ხნით გამოაკლდა

თანდათან შეთხელდა საქართველოს ნაკრების საიტალიო შემადგენლობა. ახლახან გაირკვა, რომ საზაფხულო ლიგებში მონაწილეობის გამო იტალიურ შეკრებაზე ვერ ჩავა დენვერელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი, გუშინწინ კი მისი სიძე, ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილიც გამოაკლდა ბრაიკოვიჩის გუნდს. ვატო ისევ ფილტვმა შეაწუხა და დიჟონის კლინიკაში ხვალ ოპერაციას გაიკეთებს...



— როცა მეგონა, ვარჯიშს დავიწყებ-მეთქი, სწორედ მაშინ მიმტყუნა ფილტვმა — გვითხრა ნაცვლიშვილმა გუშინ, დიჟონში რომ შევეხმიანეთ — გასულ ოთხშაბათს ოდნავ შეუძლოდ ვიგრძენი თავი, სურათი გადავიღე და აღმოჩნდა, რომ იგივე რამ მჭირდა, რის გამოც ნაადრევად დავასრულე ეს სეზონი.

— კონკრეტულად რა გაწუხებს, რამდენად სერიოზულია?

— სახელიც ისეთივე აქვს, როგორიც თავად ეს წყეული დაავადებაა — პნევმოთორაქსი. უბრალო ენაზე რომ ვთქვა, ფილტვი ჩამეფუშა და თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებს. ძალიან სერიოზული სნეულებაა, საოპერაციოა.

— როდის იკეთებ ოპერაციას და სარეაბილიტაციოდ რა დრო დაგჭირდება, ნაკრების სექტემბრის მატჩებისთვის მწყობრში იქნები?

— მაგაზე ახლა სულ არ ვფიქრობ, ნეტავ, ყველაფერი კარგად დასრულდეს. ორშაბათს საავადმყოფოში დავწვები და მეორე დღეს ოპერაციას გამიკეთებენ. ჯერ ვერაფერს ვიტყვი, როდის გამწერენ, რამდენ ხანში შევძლებ სირბილს... არაა გამორიცხული, სექტემბრისთვისაც არ ვიყო მწყობრში.

ირაკლი პერტაია



ზაზა ფაჩულია ახალ გუნდშია და უკვე პირველი მოწონებაც დაიმსახურა... გუშინწინ მილუოკის გარეუბან სენტ ფრანცში „ხარირემთა“ ახალწვეულები და ამ გუნდში მოხვედრის მოსურნე თავისუფალი აგენტები შეიკრიბნენ და პირველი ვარჯიშიც გამართეს. ყველა ცდილობდა მწვრთნელებისთვის თავის მოწონებას, რაც ზოგმა მოახერხა, ზოგმაც ვერა.

ზაზა ფაჩულია ქოუჩზე დამ შეაქო

ვარჯიშს უძღვებოდა „მილუოკის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ბობ ოჩიეპკა, რომელმაც ქართველ ცენტრზე თქვა:

„ფაჩულია საკმარისად ძლიერია და აგრესიულად თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მით უფრო, რომ მას ფარქვეშ საჯაჯგუროდ ყველა მონაცემი აქვს — ახოვანი, დაკუნთული და სწრაფია. ზაზა ურიგოდ არ ატარებს ბურთს, სწრაფადაც დარბის და ბლოკის დაყენებაც მშვენივრად შეუძლია — ეტყობა, რომ ევროპაში უთამაშია. როცა ფაჩულია მეტოქეს მეურვეობდა, არ უძნელდებოდა ამის გაკეთება, ხოლო სხვებს მისი დაჭერა გვარიანად უჭირდათ. ასეთი მონაცემების ასეთი ახალგაზრდა კალათბურთელი იშვიათია. ჩვენ ის გამოგვადგება. ფაჩულიას ძალა და უნარი „მილუოკის“ ბევრ სიკეთეს მოუტანს.“

მაშ ასე, ფაჩულიამ პირველი გამოცდა ჩააბარა, წინ კი ვარჯიშები და არაერთი ამხანაგური მატჩია.

ირაკლი პერტაია

ᲑᲘᲭᲔᲑᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲐᲥᲕᲗ

2004 EC JUDO Cadets -17

ევროპის ჩემპიონ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს ღირსეული ცვლა ეზრდება. უფროსების მიღწევას არც ჩვენი კადეტები ჩამორჩნენ და ამ უქმეებზე როტერდამში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე შვიდი მედალი მოიგეს. ჯემალ ნათელაშვილის გუნდში კი სულ რვა სპორტსმენი იყო.

მედალოსანთაგან ყველაზე უკეთ 60 კილოგრამში მოსპარეზე დავით ციხელაშვილი გამოვიდა. ფინალამდე ისე მივიდა, მეტოქეთათვის კოკას ფასი ფანდის გაკეთების საშუალებაც არ მიუცია, თავად კი ოთხიდან სამ შეხვედრაში იპონით იმარჯვა. ფინალში რუს მიხაილ ნანქულებით აჯობა და ტურნირის პირველი ქართველი ჩემპიონი გახდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, უკანასკნელიც, თუმც ამას ჩვენი ნაკრების გუნდური წარმატებისთვის ხელი მაინც არ შეუშლია.

ციხელაშვილის თანაგუნდელებიდან უმედლოდ მხოლოდ შალვა უთურგაული (66კგ) დარჩა. პირველსავე წრეში რუს ილია კოკოვიჩთან დამარცხდა და რეპეშაჟში ჭიდაობის შანსიც აღარ მიეცა, რადგან მომდევნო წრეში იმ რუსმაც წაგო.

დანარჩენი ექვსეულიდან სამმა ვერცხლი მოიგო, სამმაც ბრინჯაო. 50 კილოგრამში რობერტ მშვიდობაძე სომეხ იგორ მკრტჩიანს, ფინელ იან კორჰონენს, ჰოლანდიელ ბენი ნორტანს და რუს მაქსიმ ნიკოლაევს იოლად გაუმკლავდა, თუმც ფინალში რუმინელ სეზარ რუსუსთან ვეღარას გახდა. ბოლო ნაბიჯზე დაუცდა ფეხი ბეთქილ შუკვანსაც (55კგ). მისი მძლეველი აზერბაიჯანელი ნიათ შიხალიზადე გახდა. არადა, მანამდე ჩატარებული სამი შეხვედრა შუკვანს წამებში მოეგო.

მეორე ოქროს მოპოვების ბოლო იმედად ნათელაშვილს მძიმეწონასანი ადამ ოქრუაშვილი დარჩენოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაბაბული ფინალი იტალიელი მაურო ტროისის გამარჯვებით დასრულდა. ტურნირში მეორე დღეს ოქრუაშვილის გარდა გივი დემეტრაშვილი (73კგ), დავით კარბელაშვილი (81კგ) და სოსო მსხალაძე (90კგ) ჩაერთვნენ და სამივემ მესამე ადგილი დაიკავა.

დემეტრაშვილმა ებრაელი ოფირ მაორის, ფინელი ლაურ ჰალმესა და ავსტრიელი ალბერტ ფელჩერის ტატამზე გაკვრას ჯამში ხუთი წუთიც არ მოანდომა, თუმც მერე აზერბაიჯანელ ელნურ მამედლისთან თავად წაგო იპონით და ჯავრის საყრელად პოლონელი კასპერ ლარემიღა დარჩა. ნახევარფინალში წაგო კარბელაშვილმაც და მასაც აზერბაიჯანელმა თემურ ალიხანოვმა სძლია. მესამე ადგილისთვის კი უნგრელ ბალინტ სტარკას აჯობა.

კვარცხლბეკზე მოსახვედრად რეპეშაჟი დასჭირდა მსხალაძეს. ორი წმინდა გამარჯვების შემდეგ ჰალანდიელ ვან ჰემდენთან ქულებით წაგო და მედლისკენ მიმავალი გზა გაირთულა, თუმც ბერძენ, ბელგიელ და ლატვიელ მეტოქეებს მაინც იოლად გაუსწორდა.

ტურნირის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრების მწვრთნელ შოთა ხაბარელს შევეხმიანეთ. მედლების სიუხვით, ცხადია, გახარებული იყო, თუმც მეორე დღის უოქროოდ ჩამთავრებას ცოტა გულიც დაეწვყვეტა:

„შვიდი მედალი მშვენიერი შედეგია, მაგრამ ციხელაშვილის ოქროსთვის თუნდაც ერთიც რომ წაემატებინათ, ურიგო არ იქნებოდა. ასეა თუ ისე, უკმაყოფილების საბაბი მართლა არ გვაქვს. ერთხელაც გამოჩნდა, რომ ბრწყინვალე თაობა მოდის. მაგრამ ამ ბიჭებს დროზე უნდა მივხედოთ. ევროპის ჩემპიონობისთვის სხვა ევროპულ ქვეყნებში დიდ პრემიებს იძლევიან. ჩვენ კი ხელფასის დანიშვნასაც ვერ ვახერხებთ. ამ ევროპის ჩემპიონატს ბევრი სპეციალისტი დაესწრებოდა და გამორიცხული არაა, ქართველთა გადაბირების მსურველებიც გამოჩნდნენ. ასე არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი დავკარგეთ და არ მინდა, ასევე გავრძელდეს. თუ ეს თაობა სრულად შევინარჩუნეთ, ქართული ძიუდო ბევრს მოიგებს“.

ოთარ მაღლაკელიძე

ᲢᲣᲠ ᲓᲔ ᲤᲠᲐᲜᲡᲘ 2004



REUTERS ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲘᲡᲣᲚᲘ

ფაბიან კანსელარა ყურადღებისა და ფოტოს ცენტრში

პროლოგი. ლიეჟი

1. ფაბიან კანსელარა (შვეიცარია, ფასა ბორტოლო) 6 წუთი 50 წამი
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +2 წმ
3. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ბალიარი) +8 წმ

I ეტაპი. 4 ივლისი
ლიეჟი — შარლერუა

1. იან კირსიპუუ (ესტონეთი, AG2R) 4 სთ 40 წთ 29 წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) — იგივე დრო
3. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) — იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. ფაბიან კანსელარა (შვეიცარია, ფასა ბორტოლო) 4სთ 47წთ 11წმ
2. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) +4წმ
3. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) +10წმ

რა ᲒᲘᲮᲐᲠᲘᲐᲗ?!

ᲑᲘᲫᲘᲐ ᲚᲔᲜᲡᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲡ

თითქოს მშვიდად, ყოველგვარი ემოციის გარეშე დაიწყო ველორბოლის უპრესტიჟულესი შეჯიბრი ტურ დე ფრანსი. კაცმა რომ თქვას, ასეც უნდა იყოს, „ტური“ ხომ 21 გარბოლას მოითვლის, სადაც სპორტსმენებს მოზიგზაგე გზებზე, ნირგვარი დახრილობის ფერდობებზე და ზოგჯერ ქარწვიმიან ამინდში მოუწევთ რბოლა. ამიტომაც, საწყისი ორი გარბოლის შემდეგ რომ ლიდერის ყვითელი მაისურა შვეიცარიელ ფაბიან კანსელარას მოურგია, დიდს არაფერს ნიშნავს.

კანსალერა რომ ყვითელი მაისურით თავს იწონებს, ველორბოლის ცოცხალი ლეგენდა, ტურის მიჯრით ხუთჯერ მომგებ ლენს არმსტრონგს ულვაშებში ეცინება და ამბობს — „დასაწყისი ყოველთვის მოსათელი პროცედურაა. საწყის სამ-ოთხ გარბოლას ცირკს შევადარებ, სადაც გართობა მეტია, ვიდრე სერიოზულობა. ცოტაც და მთელი სიმძლავრით გახურდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა.“

არმსტრონგი სწორედაც რომ ჩემპიონობას უმიზნებს, რათა შეიქნას პირველი ველომრბოლი, ვისაც ტურ დე ფრანსი ექვსჯერ მოუგია.

პროლოგს ანუ უმოკლეს გამახურებელ-საჩვენებელ რბოლას ბელგიურმა ლიეჟმა უმასპინძლა. დიდმა ჩემპიონმა არმსტრონგმა რიხით კი დაიწყო პედლების ტრიალი, მაგრამ პირველობა მაინც ვერ წაართვა შვეიცარიელ კანსელარას და მას 2 წუთით ჩამორჩა.

გუშინ კი გაიმართა ტურის მეორე ეტაპი, რომელმაც მოიცვა 125,5-მილიანი ტრასა ბელგიურ ლიეჟსა და შარლერუას შორის. გარბოლა მოიგო ესტონელმა იან კირსიპუუ, რომელმაც პროლოგში ვერაფრით გამოიჩინა თავი და საერთო ჩათვლაში ათეულშიც ვერ მოხვდა. ლიეჟ-შარლერუას გზა უიღბლო გამოდგა თითქმის ყველა ცნობილი მრბოლელისთვის. თავად ლენს ამსტრონგიც კი ვერ მოხვდა მოწინავე 30-ეულში.

სამაგიეროდ, 27-ე მივიდა ფინეთან შვეიცარიელი ფაბიან კანსალარა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ლიდერის ყვითელი მაისურის მოსარგებად. საერთო ჩათვლაში მესამეა ლენს არმსტრონგი, ხოლო ტურ დე ფრანსის მასსავით ხუთჯერ მომგები ვეტერანი ბერნარ ინო ამბობს, ფლეულს გამარჯვების თანაბარი შანსები აქვთ არმსტრონგსა და იან ულრიხსო. ულრიხი კი ჯერ საერთოდ არ ჩანს ლიდერებში. ტური კიდევ სამ დღეს დარჩება ბელგიაში და მერე შშობლიური საფრანგეთის გზებს შეეყრება.

REUTERS ᲨᲐᲠᲚᲔᲠᲘᲡᲣᲚᲘ

იან კირსიპუუ

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲚᲘᲑᲘᲐ, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ

რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5, 0,5:0,5, 0,5:0,5,

თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5, 0,5:0,5, 0:1

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲚᲐ

პირველი პარტიის მოგების შემდეგ ადამსი მხოლოდ მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობს და ზედმეტი ფიქრით თავს აღარ იწუხებს.

მეორე პარტიაში ალბიონელმა მოულოდნელი იერიშებით გასაქანი არ მისცა 17 წლის აზერბაიჯანელ ყმაწვილს და მე-17 სვლაზე ყაიმით გაუშვა.

ადამსმა მსგავს ხერხს მესამე შეხვედრაშიც მიმართა, თუმც აქ ვალში არც რაჯაბოვი დარჩენილა და ინგლისელის იერიშებს იერიშებივე შეაგება. ფიგურების განლაგებით აზერბაიჯანელმა თანდათან აჯობა ალბიონელს, e ხაზიდან ლაზიერ-პაიკებით მიაწვა და მე-17 სვლაზე თამაში თავის სასარგებლოდ გახსნა. ადამსმა ამას მსწრაფლ გრძელი როქი მოაყოლა, რაჯაბოვმა კი იერიშები გააძლიერა, თუმც ინგლისელის მეფე ვერაფრით მოიხელთა და 27-ე სვლაზე მორიგ ზავს დაჰყაბულდა.

ყაიმით დაასრულა პარტიები მეორე ნახევარფინალურმა წყვილმაც. პირველ მატჩში სწრაფი ყაიმის შემდეგ ყველას ეგონა, რომ მომდევნო მატჩებში ტოპალოვი მალევე მოუთავებდა საქმეს მასზე დაბალრეიტინგიან კასიმჯანოვს, თუმც ასე არ მოხდა. მეორე-მესამე პარტიებში უზბეკი ისე ათამაშდა, ბულგარელმა მოგება კი არა, ყაიმები ძლივს გაახერხა.

ᲚᲐᲖᲐ ᲑᲔᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘ

მომდევნო სვლაზე ადამსმა გრძელი როქი გააკეთა და პარტიაც ასე დასრულდა (მეორე დაფა)



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეათე ეტაპი

მიხაელ შუმახერის მეორე ზეშვიდეული

ცამდე მართალია ის ხალხი, ფორმულა 1-ის ყურების ინტერესი რომ დაეკარგა. არგუმენტი ისეთი აქვთ, ვერაფერს იტყვი: რაღას ვუყუროთ, წინასწარ ვიცით, შუმახერი მოიგებსო.

თითქოს ჩვენი ბრალი ყოფილიყოს, რა უნდა გვეპასუხა ან მაშინ, ან მით უმეტეს მიხაელის გუშინდელი ტრიუმფის შემდეგ. „წითელმა ბარონმა" მიმდინარე სეზონში ათიდან უკვე მეცხრე რბოლა მოიგო და სწორედ ამის გამო მისი ქომაგებიც კი თავიანთი კერპის წაგების მოლოდინში არიან, ჩემპიონატს მაშინ მაინც გაუჩნდება ინტრიგაო. სურვილი სურვილად, მაგრამ რა შუმის ბრალია, თუკი მას არც ოსტატობა ღალატობს და არც მანქანა უფუჭდება. ასე რომ, გვინდა თუ არა...

გუშინ „მანი კურზეც" ასე იყო, თუმც თავიდან, საკმაოდ მოულოდნელად, მიხაელი კარგა ხანს ჩამორჩებოდა კარიერაში მესამე კვალიფიკაციის მომგებ რენოელ ფერნანდო ალონსოს. 22 წლის ესპანელმა თითქოს საბოქსე ტაქტიკაც სწორად გათვალა, უმთავრეს მეტოქეზე ერთით ნაკლები პიტსტოპი დაეგეგმა, რაც, მისივე აზრით, წარმატებას მოუტანდა. მაგრამ ფაქტია, რომ სხვებისა ყველაფერი კარგად მუშაობს მაშინ, როცა ტრასაზე არაა მიხაელ შუმახერი...

ერთი სიტყვით, მიხაელმა მეორემ დაიწყო რბოლა და შუა გზამდე ასე გაგრძელდა, მერე კი მორიგი პიტსტოპის წინ ალონსოსთან დროის ისეთი მარაგი შეიქმნა, რომ მეტი რა გზაა, უკვე მერამდენედ მოგვიწევს ადრე ნათქვამის გამეორება, ანუ უზუსტესად გათვლილმა საბოქსე ტაქტიკამ „წითელ ბარონს" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანაო.

ეს მიხაელ შუმახერის 79-ე დიდი პრიზი გახლავთ, მეშვიდე და სარეკორდო საფრანგეთში, ამასთან მე-60 „ფერარის" შემადგენლობაში.

ერთი დასახელების პრიზის შვიდჯერ მოგება ფორმულა 1-ის სარეკორდო მიღწევაა და შუმის გარდა ვერავის მოუხერხებია. ამასთან, დიადმა გერმანელმა ეს უკვე მეორედ შეძლო 13 ივნისს კანადაში ამგვარივე ტრიუმფის შემდეგ.

რუბენს ბარიკელო 400-იანების კლუბში გაწევრიანდა

გუშინ „მანი კურზე" ვერ გაიჯირითა შარშან პოულის და რბოლის მომგებმა რალფ შუმახერმა. გეხსომებათ, ორი კვირის წინ ინდიანაპოლისში, აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშება ახალი დაწყებული იყო, როცა გერმანელი პილოტის „უილიამსს" საბურავი გაუსკდა და ტრასაზე დაბზრიალებული საშინელი ძალით მიეხეთქა ბეტონის კედელს. კლინიკაში გამოკვლევამ აჩვენა, რომ რალფს ხერხემლის ორი მალა გაბზარული ჰქონია, ზურგზე მოზრდილი ჰემატომაც გაუჩნდა და ამასთან თავის ტკივილსაც უჩიოდა.

ექიმთა ვარაუდით, მრბოლს სრულ გამოჯანმრთელებამდე სამი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რალფი, რომელიც ხუთი დღის წინ 29 წლის შესრულდა, ბოლიდის საჭეს მხოლოდ სეზონის დასკვნით სამ ეტაპზე თუ მიუჯდება. თუმც არც ისაა გამორიცხული, პატარა შუმიმ საერთოდ აიღოს ხელი „სამეფო რბოლებზე", რადგან ეს მისი უკვე მესამე მძიმე ავარიაა.

რალფი გუშინდელ რბოლაში, ისევე, როგორც შარშან იტალიაში, „უილიამსის" სათადარიგო მძღოლმა მარკ ჟენემ შეცვალა.

30 წლის ესპანელს თავი არ შეურცხვენია, კვალიფიკაციაში მერვე შედეგი აჩვენა და გუშინ რბოლაშიც მშვენივრად გაისარჯა, თუმც ჩასათვლელ, მერვე ადგილამდე 15-მდე წამი დააკლდა.

„მანი კურზე" ყველაზე მეტად მეორე ფერარელმა რუბენს ბარიკელომ იხეირა: ეს მისი 190-ე რბოლა იყო, აქედან ზედიზედ მე-11 ქულებიანი და რაც მთავარია, რუბინიომ გუშინდელი მესამე ადგილით კარიერაში 400-ქულიანი ზღვარი დაძლია. ეს ფორმულა 1-ის 55-წლიან ისტორიაში მეცხრე შედეგია მიხაელ შუმახერის (1128), ალენ პროსტის (798), აირტონ სენას (614), ნელსონ პიკეს (485), ნაიჯელ მენსელის (482), დევიდ კულჰარდის (463), ნიკი ლაუდას (420,5) და მიკა ჰაკინენის (420) შემდეგ.

ისევ უნდა აღინიშნოს „მაკლარენის" გამოცოცხლება: „ვერცხლისფერებმა" საფრანგეთში „მერსედესის" ძრავიანი ახალი მოდელი გამოსცადეს და კმაყოფილებიც დარჩნენ, თუკი შეიძლება ასე ითქვას „წინა ცხოვრებაში" სამეფო რბოლების ტრიუმფატორ საჯინიბოს სადღეისო სულ რაღაც მეექვსე-მეშვიდე ადგილებზე.

გია ახალაძე



REUTERS

მიხაელ შუმახერის ზეწოლას ფერნანდო ალონსომ მხოლოდ ნახევარი გზა გაუძლო

რბოლის შედეგები

საფრანგეთის დიდი პრიზი
4 ივლისი. ნევერი

დისტანცია 70 წრე — 308,586 კმ

1.	(2)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:30.18,133 (205,0 კმ/სთ)
2.	(1)	ალონსო (რენო)	ჩამორჩა 08,329
3.	(10)	ბარიკელო (ფერარი)	31,622
4.	(5)	ტრული (რენო)	32,082
5.	(4)	ბატონი (B.A.R)	32,482
6.	(3)	კულჰარდი (მაკლარენი)	35,520
7.	(9)	რაიკონენი (მაკლარენი)	36,230
8.	(6)	მონტოია (უილიამსი)	43,419
9.	(12)	ვებერი (იაგუარი)	52,394
10.	(8)	ჟენე (უილიამსი)	58,166
11.	(13)	კლიენი (იაგუარი)	1 წრით
12.	(15)	ფიზიკელა (ზაუბერი)	1 წრით
13.	(16)	მასა (ზაუბერი)	1 წრით
14.	(11)	და მატა (ტოიოტა)	1 წრით
15.	(14)	პანი (ტოიოტა)	2 წრით
16.	(17)	ჰაიდფელდი (ჯორდანი)	2 წრით
17.	(18)	პანტანო (ჯორდანი)	3 წრით
18.	(19)	ბრუნი (მინარდი)	4 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(20)	ბაუმგარტნერი (მინარდი)	გაიარა 31 წრე
(7)	სატო (B.A.R)	15

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული

ალონსო — 1.13,697 (215,5 კმ/სთ)

საუკეთესო წრე

მ. შუმახერი — 1.15,377 (210,7 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

	ავსტრალია 7 მარტი	მალაიზია 21 მარტი	ბაჰრეინი 4 აპრილი	სან მარინო 25 აპრილი	ესპანეთი 9 მაისი	მონაკო 23 მაისი	ევროპა 30 მაისი	კანადა 13 ივნისი	აშშ 20 ივნისი	საფრანგეთი 4 ივლისი	დ.ბრიტანეთი 11 ივლისი	გერმანია 25 ივლისი	უნგრეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ჩინეთი 26 სექტემბერი	იაპონია 10 ოქტომბერი	ბრაზილია 24 ოქტომბერი	ჯამი
1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია	10	10	10	10	10	–	10	10	10	10									90
2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია	8	5	8	3	8	6	8	8	8	6									68
3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი	3	6	6	8	1	8	6	6	–	4									48
4 ტრული რენო, იტალია	2	4	5	4	6	10	5	–	5	5									46
5 ალონსო რენო, ესპანეთი	6	2	3	5	5	–	4	–	–	8									33
6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია	4	8	–	6	–	5	1	–	–	1									25
7 სატო B.A.R., იაპონია	–	–	4	–	4	–	–	–	6	–									14
8 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია	5	–	2	2	3	–	–	–	–	–									12
9 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი	1	3	–	–	–	–	–	3	2	3									12
10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია	–	–	–	–	2	–	3	5	–	–									10

რაიკონენი (მაკლარენი) — 10 ქულა, მასა (ზაუბერი), პანი (ტოიოტა) — 5, და მატა (ტოიოტა), ვებერი (იაგუარი), ჰაიდფელდი (ჯორდანი) — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი (მინარდი) — 1

	ავსტრალია	მალაიზია	ბაჰრეინი	სან მარინო	ესპანეთი	მონაკო	ევროპა	კანადა	აშშ	საფრანგეთი	დ.ბრიტანეთი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	ჩინეთი	იაპონია	ბრაზილია	ჯამი
1 ფერარი	18	15	18	13	18	6	18	18	18	16									158
2 რენო	8	6	8	9	11	10	9	–	5	13									79
3 B.A.R.	3	6	10	8	5	8	6	6	6	4									62
4 უილიამსი	9	8	2	8	3	5	1	–	–	1									38
5 მაკლარენი	1	3	–	1	–	–	–	7	5	5									22

ზაუბერი — 15 ქულა, ტოიოტა — 8, ჯორდანი — 5, იაგუარი — 3, მინარდი — 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ლევერკუზენიდან

ერთი ამდენიც

„ლევერკუზენის“ თავმჯდომარე ვერნენ ფეინინგი და გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი ჭრიან ტორტს, რომელიც კლუბის საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად გამოუცხვიათ. ასე ტკბილად დაგვიბერდით!

ფეხბურთი ციხეში

REUTERS ლიმიდან

არც ამ ფეხბურთელის ბედს გისურვებთ ვინმეს და არც მაყურებლებისა. თამაში პერუს უდიდეს ციხეში, „ლურიგაჩოშია“ გახურებული და ვისაც ფოტოზე ხედავთ, ყველა პატიმრია.



REUTERS ლიმიდან

ჯერ გართობა?

ეგებ აღარც გახსოვთ, რომ 7 ივლისს პერუში კოპა ამერიკა იწყება. თუ ასეა, ფოტო შეგახსენებთ: მექსიკის ნაკრების ფეხბურთელი ხაიმე ლოზანო კოპას სამასპინძლოში ჩასულა და მუსიკოსებთან ერთობა.

მოსკოვს ცეცხლის სჯერა

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა მოსკოვშიც შეიპარა და მისით ქალაქის ვიცე-მერი ვალერი შანცევი იწონებს თავს.

REUTERS მოსკოვიდან

რიკერის კისერი

სიენას ქუჩებში დღი 1224 წლიდან იმართება წელიწადში ორჯერ და ვინ მოთვლის, რამდენ ჟოკეის წაუტეხია კისერი. ამჯერად ასეთი უიღბლო ალბერტო რიკერი გამოდგა.

REUTERS სიდნეიდან

ფეხბურთი

ბრაზილია

სერია A. XII ტური

ატლ. პარანენსე 4:1 ფუვენტუდე
ფიგეირენსე 2:2 ვასკუ და გამა
ინტერნასიონალი 3:0 კრისიუმა
სან პაულუ 2:0 პონტე პრეტა
ვიტორია 0:0 გოიასი
ფლუმინენსე 2:0 გრემიო
გუარანი 1:1 ატლ. მინეირო
კორინთიანსი 2:3 სანტოსი
სან კეეტანო 1:2 ბოტაფოგო
პარანა 1:2 პალმეირასი
კრუზეირო 0:3 კურიტიბა
ფლამენგო 4:1 პაისანდუ

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფიროსმანაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge